ლელო

№ 29
(10989)

12-14 ივნისი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერტოტო - 96-ის თასი

უეფა დაბეჯითებით ცდილობს ამ ტურნირს საჭირო ავტორიტეტი შეუქმნას, სწორედ ამიტომ მან გადაწყვიტა სამაგალითოდ დასაჯოს იტალიისა და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციები, რომლებმაც უარი თქვეს შეჯიბრებაში თავიანთი გუნდების გამოყვანაზე. იტალიის ფედერაციას 750 ათას დოლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს, ესპანელები კი 300 ათასი დოლარით დაჯარიმდნენ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. უეფას საკონტროლო-დისციპლინარული კომისია იმსჯელებს სხვა რა სანქციების გამოყენება შეიძლება საბოტაჟისთვის.

ინტერტოტო - 96-ის თასის გათამაშების მონაწილენი 12 ჯგუფად არიან დაყოფილი. ჯგუფური ტურნირები დაიწყება 22-23 ივნისს. ბრძოლას მომდევნო ეტაპზე გააგრძელებს 12 გამარჯვებული კოლექტივი, რომლებიც 27, 28 და 31 ივლისს უეფას 96-97 წლის გათამაშების წინასწარი რაუნდის 6 საგზურს გაითამაშებენ.

საქართველო ინტერტოტოს გათამაშებაში წარმოდგენილია „კოლხეთით". მასთან ერთად XII ჯგუფში იასპარეზებენ: „გენგამი" (საფრანგეთი), ზემანი (იუგოსლავია), „დინამო" (რუმინეთი) და „იარო" (ფინეთი). ამ ჯგუფში ტურნირის განრიგი ასეთია:

22, 23 ივნისი. „იარო" — „გენგამი", „ზემანი" — „დინამო"
29, 30 ივნისი. „კოლხეთი" — „ზემანი", „დინამო" — „იარო"
6, 7 ივლისი. „გენგამი" — „დინამო", „იარო" — „კოლხეთი"
13, 14 ივლისი. „კოლხეთი" — „გენგამი", „ზემანი" — „იარო"
20 ივლისი. — „გენგამი" — „ზემანი", „დინამო" — „კოლხეთი".

ნინო ამჯერად მეოთხე იყო

მილანში გაიმართა მსოფლიო თასის მორიგი გათამაშება პნევმატური პისტოლეტით სროლაში. პირველი ადგილი დაიკავა იუგოსლაველმა იასნა სეკარიჩმა, რომელსაც უმნიშვნელოდ ჩამორჩა გალინა ბელიაევა. სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, რომელმაც ადრე თავი გამოიჩინა სპორტული პისტოლეტით სროლაში და მსოფლიო თასი მოიპოვა, ამჯერად მეოთხე იყო.

ვაჟთა შორის აღნიშნულ სახეობაში უძლიერესი იყო იტალიელი რობერტოდი დონა.

ვის დარჩება ორი საგზური?

ვის დარჩება ჭრელჭრელობით საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ორი ვაკანტური ადგილი? ეს უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატმა, რომელსაც ათი მონაწილე ჰყავს: დიდოსტატები ბუხუტი გურგენიძე და ლაშა ჯანჯღავა, საერთაშორისო ოსტატები — სანდრო დგებუაძე, გია ბაღათუროვი, ხვიჩა სუპატაშვილი, გიორგი ყაჭეიშვილი, რომან სიჭინავა, თამაზ ტაბატაძე, ოსტატები — კახა შალამბერიძე და დავით ლობჟანიძე.

პირველ ტურში გურგენიძემ მოუგო დგებუაძეს. სუპატაშვილ-ყაჭეიშვილის, შალამბერიძე-ჯანჯღავას, ლობჟანიძე-ტაბატაძისა და ბაღათუროვ-სიჭინავას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მეორე ტურში სუპატაშვილმა დაამარცხა შალამბერიძე, ჯანჯღავამ — ლობჟანიძე, ბაღათუროვმა — ტაბატაძე. ყაიმზე შეთანხმდნენ სიჭინავა-გურგენიძე და ყაჭეიშვილი-დგებუაძე. მესამე ტურში შალამბერიძემ მოუგო ყაჭეიშვილს, ტაბატაძემ — გურგენიძეს, სიჭინავამ დგებუაძეს, ბაღათუროვი-ჯანჯღავა და ლობჟანიძე-სუპატაშვილი დაზავდნენ.

მეხუთე ტურში სუპატაშვილმა მოუგო გურგენიძეს, ლობჟანიძემ — ყაჭეიშვილს, სიჭინავამ — ტაბატაძეს. ბაღათუროვ-შალამბერიძისა და დგებუაძე-ჯანჯღავას პარტიები ყაიმით დასრულდა.

5 ტურის შემდეგ ჯანჯღავას, სუპატაშვილსა და სიჭინავას 3,5 - 3,5 ქულა აქვთ.

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

UEFA
EURO 96
England

ალბათ ბევრი დაგვეთანხმება, რომ ჩემპიონატის პირველ მატჩებს აშკარად დაღი დაასო სასტარტო ციებ-ცხელებამ და იგი თითქმის ვერც ერთმა გუნდმა ვერ დაძლია. ეს პრობლემა გადაუჭრელი აღმოჩნდა თვით ასპარეზობის მასპინძელ ინგლისელთა გუნდისთვისაც კი, მას ვერც საკუთარი კედლების უპირატესობამ უშველა და ამ საყოველთაო თამაშის წამომწყები საკმაოდ ულიმღამო ფრეს დასჯერდნენ (1:1) შვეიცარიელებთან. გოლები გაიტანეს შირერმა (23 წ) და თურქილმაზიმ (83).

ესპანეთი — ბულგარეთი ამ მატჩს სულ 26 ათასი მაყურებელი დაესწრო. მსაჯის უცნაურობებმა გააუფასურა მატჩი. ყურადღების ცენტრში ცხადია, სტოიჩკოვი იყო. აშკარად გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონია. პირველი გოლი სტოიჩკოვმა გაიტანა თერთმეტმეტრიანით 65-ე წუთზე. 8 წუთის შემდეგ ალფონსომ საჯარიმოში შექმნილი არეულობისას გაქვითა ეს გოლი 1-1.

გერმანია — ჩეხეთის მატჩში აშკარა იყო გერმანელების უპირატესობა, რაც პირველ ტაიმშივე ანგარიშში გამოიხატა 2-0. მეორე ტაიმის შუა პერიოდიდან ჩეხები ერთობ გააქტიურდნენ, გერმანელებს სულ უფრო ბეჯითად უხდებოდათ დაცვაში თამაში და მატჩის ბოლო წუთებში „მიეჯაჭვნენ" კიდეც საკუთარ საჯარიმოს, თუმცა, ანგარიში 2-0 შეინარჩუნეს. ამ მატჩში ბევრი იყო გაფრთხილება.

დანია — პორტუგალიის შეხვედრაშიც ფრე 1-1 აღინიშნა, თუმცა მატჩის პირველ ნახევარს დანიელები იგებდნენ. ანგარიში 21-ე წუთზე გახსნა ბ. ლაუდრუპმა, ხოლო საპასუხო ბურთი სა პინტუმ გაიტანა თავით 52-ე წუთზე. სხვებისაგან განსხვავებით მეტოქეები ღირსეულად გამოიყურებოდნენ. განსაკუთრებით კარგად ითამაშა დანიელთა გოლკიპერმა პიტერ შმეიხელმა, აგრეთვე ძმებმა ლაუდრუპებმა. შმეიხელმა აშკარად გადაარჩინა თავისიანები მარცხისგან, რაც ერთხმად აღნიშნეს, როგორც თანაგუნდელებმა, ისე მეტოქეებმა.

შოტლანდიელებმა საფეხბურთო ელიტის ერთ-ერთ წარმომადგენელ — **ჰოლანდიის** ნაკრებთან მატჩში დაამტკიცეს, რომ ფეხბურთი სწორედ ბრიტანეთის კუნძულებზე იშვა და მრავლისმნახველ ნიდერლანდებს თანაბარი ბრძოლა გაუმართეს. ისინი ტაიმის პირველ ნახევარში მეტოქის ხანგრძლივი დაწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ, რასაც მასირებული დაცვის წყალობით გაუძლეს და როცა 21-ე წუთზე კონტრიერიშზე გადავიდნენ, ალბათ ყველას ეგონა, რომ ეს ნიდერლანდის მანევრი გახლავთ, უკან დაიხია, რათა გამოხშიროს მეტოქის დაცვითი რიგები და სწრაფი, მოულოდნელი იერიშით მიაღწიოს მიზანს. მაგრამ ასე არ მოხდა. შოტლანდიის ნაკრები ზედიზედ იგერიებდა კრუიფისა და დევიდსის შუა მინდვრიდან სახიფათო ჩაწოდებებს და ბურთი ვერ აღწევდა მათ საჯარიმოზე სახიფათოდ შეჭრილ ტაუმენტამდე, ვიტჩმდე და რაიციგერამდე. შოტლანდიელებმა განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარეს შეხვედრის მეორე ნახევარი და მეტოქეთა კვლავინდებური ძლიერი დაწოლის მიუხედავად, „მშრალად" გადაარჩინეს თავიანთი კარი, საპატიო ფრეს 0-0 მიაღწიეს უძლიერეს მეტოქესთან, რომელსაც სპეციალისტები ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად თვლიან.

რაც შეეხება **რუმინეთ-საფრანგეთის** მატჩს, პირველს ისეთი ძლიერი გამაღიზიანებელი მეტოქე არ ჰყოლია. ფრანგულ ფეხბურთზე ამ ხუთიოდე წლის, ან უფრო ადრე შეიძლებოდა ლაპარაკი. მაგრამ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები ამთავითვე სერიოზულად უდგებიან „მსოფლიო-98-ს" და, რა თქმა უნდა, ეცდებიან თავი არ შეირცხვინონ გულშემატკივრების წინაშე. პირველ ტაიმში ისინი მკაცრ კონტროლს უწევდნენ ბურთს და 25-ე წუთზე მეკარის პირისპირ გაიყვანეს დიუგარი, რომელმაც გახსნა ანგარიში. ამას რუმინელთა შეტევების სერია მოჰყვა, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა დაუდეგარი ჰაჯი. მას ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ ილე, პოპესკუ, მაგრამ ამაოდ. საფრანგეთის ცნობილი მეკარის ლამას 90 წუთის განმავლობაში ბურთი საკუთარი ბადიდან არ გამოუტანია — 1-0. გაიმარჯვეს ფრანგებმა.

ბილი კოსტაკურტა: „ფრთხილად, გერმანიაა!"

იტალიის ნაკრებსა და „მილანის" მცველს ბილი კოსტაკურტას იტალიელმა ჟურნალისტებმა ამ ცოტა ხნის წინ ინტერვიუ ჩამოართვეს, რომელსაც ცოტაოდენი შემოკლებით გთავაზობთ.

• **ბილი, ქვეჯგუფში იტალიის მეტოქეებზე რას გვეტყვი, პირველ რიგში გერმანიაზე?**

— ორი წლის წინ ამერიკაში განცდილი მარცხის შემდეგ, მათ დიდი სურვილი ექნებათ, რომ წარმატებით გამოვიდნენ და გარკვეულწილად რეაბილიტაციას მიაღწიონ თავიანთი გულშემატკივრების წინაშე. ისინი ახლა საუკეთესო ფორმაში არიან, ბერტი ფოგთსის მეთაურობითა და კლინსმანის გოლების წყალობით. მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ და ალბათ მთავარი ფავორიტები იქნებიან ევროპის ამ წლის ჩემპიონატზე.

• **ჩეხეთი და რუსეთი?**

— გადახედეთ ჩეხეთის თამაშებს შესარჩევ ქვეჯგუფში: ამ გუნდმა თვით ჰოლანდიელების დამარცხებაც შეძლო და პირველ ადგილზე გავიდნენ, რაც ვფიქრობ ჩეხების შეუპოვარი და უკომპრომისო თამაშით იყო გამოწვეული, თანაც მათ ძირითად ბირთვს ახალგაზრდა ფეხბურთელები წარმოადგენენ. განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს ბუნდესლიგაში მოთამაშე ჩეხებისაგან (ბერბეგრი, კუკა).

რუსეთის გუნდი კი პოტენციურად ძალიან ძლიერია. ყველას გვახსოვს მოსკოვის „სპარტაკის" ღირსეულად გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაში. კარგად ვიცნობთ იტალიაში მოთამაშე რუსებს შალიმოვს, კოლივანოვს, სიმუტენკოვს. კარგად გვახსოვს 1988 წელი (მაშინ დსთ-ს გუნდთან იტალიელებმა 0:2 წააგეს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში. რედ.).

საერთოდ უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ ძნელ ჯგუფში მოვხვდით, ამიტომ პროგნოზებს აზრი არა აქვს. შედარებით ადვილი მეტოქეები რომ გვყვდეს, შეიძლებოდა რაღაცაზე ლაპარაკი, მაგრამ ახლა წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

კოსტაკურტა

ჩემპიონატის გარშემო

• **მატჩი**, რომელიც საფრანგეთის ნაკრებმა მოიგო რუმინელებთან (1:0), „სამფეროვნების" გასაოცარი წაუგებელი სერიის გაგრძელება იყო. მას შემდეგ, რაც ეიმე ჟაკე გუნდს სათავეში ჩაუდგა, მან უკვე 24 მატჩი ჩაატარა წაუგებლად. მართლაც რომ იშვიათი მიღწევაა.

• **იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ თავის ნაკრებს ფულადი პრემიებით მხოლოდ იმ შემთხვევაში დააჯილდოვებს, თუ იგი საბოლოოდ პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებს.

- „ჩვენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები ვართ და ყოველი სხვა ადგილი, პირველისა და მეორის გარდა, ჩვენთვის წარუმატებლად ჩაითვლება — განაცხადა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მატარეზემ.

• **ინგლისისა** და შოტლანდიის ნაკრებები უკანასკნელი 7 წლის მანძილზე ერთმანეთს არ შეხვედრიან. საქმე ის არის, რომ მათი ხელმძღვანელები ძალიან ერიდებოდნენ ორივე გუნდის გულშემატკივართა შეტაკებებს, რომლებსაც ადრე თავიდან ვერ იცდენდნენ.

— ძალიან კარგია, რომ ახლა შოტლანდიელებს 15 ივნისს „უემბლიზე" ვხვდებით — განაცხადა ინგლისელთა მწვრთნელმა ტერი ვენეიბლსმა — ჩვენი გულშემატკივრები, ვიმედოვნებ, ამჯერად სანიმუშოდ მოიქცევიან.

ასეთივე იმედი შოტლანდიელმა მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმაც გამოთქვა.

• **მაინც რამდენი** ფავორიტია ამ 16 ნაკრებს შორის? ფიფას უკანასკნელი რეიტინგ-ლისტით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გერმანიის ნაკრებს აქვს, რომელიც ამ სიაში მეორეა (პირველია — ბრაზილია), მესამე კი რუსეთის ნაკრებს უკავია.

თუ ექსპერტები გერმანელებს ინგლისში ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად მიიჩნევენ, რუსეთის ნაკრები ასეთად არ ითვლება. მაღალ შეფასებას აძლევენ ინგლისის, იტალიის, ჰოლანდიის, ესპანეთის და ხორვატიის ნაკრებებს, თუმცა ზოგიერთმა პირველ ტურში თავადაც ნახავდით არ დასტოვა მაინცდამაინც ძლიერი შთაბეჭდილება.

ატლანტა - 96

ოლიმპიური მარშრუტი: თბილისის ზღვა — სავანა

გურამ ბიგანიშვილი
აფროსნობა, ვარსკვლავის კლასი
დაიბადა 1950 წლის 19 მაისს თბილისში
სპორტის დამსახურებული ოსტატი
ვარჯიში დაიწყო 1965 წელს
მწვრთნელები — ზურაბ მაისურაძე და ნუგზარ ებრალიძე
დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი
ორჯერ იყო სსრკ ჩემპიონი (82, 84), ექვსჯერ ფლობდა სსრკ თასს, მოგებული აქვს მრავალი საერთაშორისო რეგატა. ევროპის 1984 წლის ჩემპიონი.

გურამ ბაგინაშვილთან შეხვედრა თბილისში არ არის იოლი საქმე. ჩვენ ეს მოვახერხეთ მხოლოდ იმიტომ, რომ თავად გვეწვია რედაქციაში. გურამი უკვე კარგა ხანია ემზადება ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის და მეტ დროს, ბუნებრივია, შეჯიბრებებსა და შეკრებებზე ატარებს.

ვლადიმირ ბრუზდევი (მარცხნივ) და გურამ ბიგანიშვილი

• **თქვენ ათეული წლები შეალიეთ აფროსნობას და რამდენიმე ოლიმპიადაში გამოსვლისთვისაც იყავით მზად...**

— 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდი. მაგრამ ჩემს ნაცვლად რიგელი ალექსანდრე მუზიჩენკო წაიყვანეს. ოთხი წლის შემდეგ საუკეთესო სპორტულ ფორმაში ვიყავი, ევროპის ჩემპიონიც გავხდი, მაგრამ ლოს-ანჯელესის თამაშებზე, პოლიტიკური მოსაზრებების გამო საბჭოთა დელეგაცია საერთოდ არ გაემგზავრა. 1992 წელს ვიასპარეზე ბარსელონის ოლიმპიადაზე და მეცამეტე ადგილი დავიკავე. უკეთესად გამოსვლა, ცხადია, შემეძლო, მაგრამ ბარსელონაში გამგზავრებამდე ბევრი, ვინერვიულე. ჩვენი სპორტის ხელმძღვანელების — კახი ასათიანისა და ჯანო ბაგრატიონის „ხმალამოღებული" ბრძოლა რომ არა, ბარსელონაში ვერც წავიდოდი. მათ, როგორც იქნა დაუმტკიცეს საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ანატოლი კოლესოვს, რომ ბიგანიშვილი სჯობდა მოსკოველ ვიქტორ პოტაპოვს. კოლესოვმა უხალისოდ მიიღო გადაწყვეტილება ჩემს სასარგებლოდ, ამასობაში დროც

იხ. მე-2 გვერდი

მოკლედ...

ევგენი კაფელნიკოვი პირველი რუსი ჩოგბურთელია, რომელმაც მოიგო დიდი სლემის ერთ-ერთი პრესტიჟული ასპარეზობა — „როლან გაროსის" ტურნირი — საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ფინალში კაფელნიკოვმა სძლია გერმანელ მიხაელ შტიხს 7:6 (7:4), 7:5, 7:6 (7:4). კაფელნიკოვმა მოიგო აგრეთვე წყვილთა ტურნირი. ამგვარი ორმაგი წარმატება 26 წელიწადია არავის გაუმეორებია ჩოგბურთში.

X X X

გამოვლინდა „ჯირო დ'იტალიას" გამარჯვებულიც. ამჯერადაც წარმატება რუსმა სპორტსმენმა პაველ ტონკოვმა იზეიმა. მეორე იყო იტალიელი ერნესტო ზეინა, მესამე — აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი).

ინფორმაციები მოგვაწოდა
სააგენტო „ბუმათემ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლოს კასრაძე

სუპერვარსკვლავი

(ელვისებური ინტერვიუ ქუჩაში)

● **ბატონო რომან! ერთი წუთით!**

ბატონი რომანი თავის მანქანასთან შეჩერდა. მოიხედა. იგი იმ წუთს ძალიან ჰგავდა ტანმორჩილ იმპერატორს, პირგამეხილ ნაპოლეონ ბონაპარტს, უძლეველ სარდალს, რომელსაც მხრებზე აწვა აურაცხელი გამარჯვებების გრიგალები აუსტერლიციდან ბოროდინომდე. რა ჩამოთვლის ყველა ეპითეტს, რომლითაც ამკობდნენ მას.

● **ძალიან მინდა დავხატო თქვენი ესკიზი.**

— მხატვარიც ხართ?

● **არა, რამდენიმე კითხვა ინტერვიუს სახით. დრო გაქვთ?**

— ასტრონომიულად ხუთი წუთი. დაიწყეთ. ვეცდები გიპასუხოთ. ოღონდ, ნუ დაიწყებთ იქიდან, ბავშვობიდან რომ ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. დაიწყეთ იქიდან, რომ მე ყველა სპორტსმენი მიყვარს, ყველა ფალავანი, ყველა ქართველი ჩემპიონი. მყავს უერთგულესი, ნაღდი მეგობრები აქაც და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

● **ხალიჩაზე დამარცხებული მეგობარი რაღა მეგობარია? თქვენს „მუდმივ" მეტოქეებს შორის (რომელიც დაამარცხეთ) ვის დაასახელებდით?**

— იაპონელი ფუძიმიტო! რუმინელი პოპესკუ! ამერიკელი ეიკლინი! დანარჩენებზე შემდეგ. დრო არა მაქვს, არ მახსოვს. ეს სპორტის ისტორიკოსის საქმეა.

● **თქვენ მაყურებლები „ხალიჩის იმპერატორს", „ელვას" და „მაღალი ძაბვის" ფალავანს გიწოდებენ.**

— პირველად მესმის, რას არ მოიგონებენ ეს არტისტები. თქვენ ხართ იოჰან შტრაუსი?

● **თქვენ აურაცხელი ოქროს მედლები და პრიზები გაქვთ, როგორც ყოფილი სსრკ-ს შვიდგზის, მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს. მინდა შევახსენოთ მსოფლიო სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერილი ტრიუმფალური გამარჯვებები.**

— ა, ბატონო, შენ უკეთესად გცოდნია ჩემზე ყველაფერი... ეჰ, ერთი ჩემი ჭიდაობა მაჩვენა კინოში! არასოდეს მინახავს.

● **მე შევახსენებთ ბრწყინვალე გამარჯვებებს – 1966 – ტოლიდოში (აშშ), 1967 – ბუქარესტში (რუმინეთი), 1969 – ედმინონში (კანადა), თქვენ მსოფლიო მოქალაქის ტიტულიც გაქვთ...**

— ა, კაცო, შენ ყველაფერი გცოდნია და რა გინდა ჩემგან. შენს მაგივრად ვილაპარაკო?

● **გაიხსენეთ თქვენი მსოფლიო ასპარეზობები ტოკიოს, მარდელ-პლატას, ბერლინის, სხვა ქალაქების საჭიდაო ხალიჩებზე, თქვენ ხომ მსოფლიოს ხუთგზის რაინდი ხართ!**

— ეჰ. წინათ 9-წუთიანი შერკინებები იყო... მერე გახდა 6-წუთიანი... ჭიდაობის წესებიც, სტილიც, სტრატეგიაც და ტექნიკაც საგრძნობლად შეიცვალა.

● **ახლა სპეციალურად სწავლობენ „სუპერ-ვარსკვლავ" რომან რურუას ილეთებს, ელვისებურ გდებებს, „შებოჭვას", „ატაცს", მხარსუკან, ალმა ტრიალით გდებას... მაყურებლები კი ისევ გაიძახიან „ჭიდაობას რა უნდაო!"**

— ამას მღეროდნენ გორში სამასი წლის წინ, ზურნებით. ჭიდაობას, ჩემო ქართლოს, ბევრი რამ უნდა. პლიუს დიდი ერუდიცია, ჭკუა და ინტელექტი. ჩემთვის ხალიჩა ისეთივეა, როგორც მოჭადრაკის გაშლილი დაფა. მთელი ჩვენი ცხოვრება ჭიდაობა არაა? გააჩნია სად ჭიდაობ და ვის ეჭიდავები. სიცოცხლეც ჭიდაობა არაა სიკვდილთან? რუსთაველისა არ იყოს, მთავარია მსოფლიო სახელის მოხვეჭა.

მე არასოდეს არ ვუღობავდი გზას ღია ჩემპიონატებზე და სხვადასხვა შეჯიბრებებზე ახალგაზრდობას.

● **როგორია თბილისის ცის ქვეშ მომავალი ფალავნების მასობრიობა?**

— ა, გახედე ნუცუბიძის პლატოს! ასეა ყველა მიკრო-რაიონი, კორპუსს — კორპუსი, კორპუსს — კორპუსი, არც ერთი სპორტული მოედანი, არც ერთი სარბენი ბილიკი... ვენახებს კი ნახავთ, გაგიხარიათ! მარა ვენახები სახურავებზეც იზრდება, ჩემო ბატონო, შენ ის მითხარი — სად უნდა გაიზარდოს ფალავანი? წავედი ახლა მე.

● **კიდევ ორი კითხვა!**

— კაცო, შენ საათი არა გაქვს? ესაა ხუთი წუთი?

● **დავამთავროთ ეს ინტერვიუ.**

— შენი ჭირიმე, არ მიყვარს ეს ინტერვიუები. კაცი უნდა იყოს იქ, სადაც ეძახის მოვალეობა: ვის ეახსოვარ მე.

● **კი მაგრამ, ხომ იყო დრო, როცა ტრიუმფით გხვდებოდათ მოსკოვი აეროპორტში? გავახსენოთ თქვენი ეპითეტები? „ხალიჩის იმპერატორი", „თეთრი პანტერა", „ფალავანთა რისხვა", „გამარჯვებების ფაბრიკანტი", „საბჭოთა ნაკრების კაპიტანი" – რომან რურუას, როგორც ღმერთკაცს, მაშინ სიხარულის ცრემლებით გხვდებოდათ მთელი მოსკოვი...**

— რას იზამ! ეტყობა ახლა „მოსკოვს ცრემლების აღარ სჯერა". დრონი მეფობენ...

● **მსოფლიო ქვეყნებში ყველაზე ლამაზი ქვეყანა?**

— საქართველო.

● **ბავშვობის პერიოდიდან თქვენი სათაყვანებელი კერპი?**

— გივი კარტოზია.

● **დაუბრუნდებით თუ არა სპორტს?**

— მე არ დავბრუნებივარ სპორტს იმიტომ, რომ არასოდეს წავსულვარ სპორტიდან. მე ვიცი, რომ თქვენი ხუთი შვილიდან სამი ვაჟია, ათი შვილიშვილიდან ერთი გოგონა და ცხრა ვაჟი. მოიყვანე ბიჭები ჩემთან, ვასწავლი ჭიდაობას.

● **ბატონო რომან, მე მოვკვდე და თქვენ დარჩით.**

— ვიცოცხლოთ ორივემ!

სურათზე: რომან რურუა

SOS

საქართველოში ცხენი მოვიძულეთ და ძაღლების დოღს ვამკვიდრებთ

რას არ გაიგონებ კაცი. ზოგჯერ რაღაც ამბავი თავისთავად შეიძლება საშინელება არ იყოს, მაგრამ პირდაპირ გაგაოცებს, მით უფრო, თუ საქმე ისეთ სიახლეს ეხება, რომელიც საკუთარ ტრადიციაზე დომინირებას ლამობს და სხვის ინტერესებსაც შელახვით ემუქრება.

მოკლედ რომ ვთქვათ, საქმე ძაღლების დოღს ეხება. თურმე საქართველოში, მსოფლიოში მეცხენეობის ამ ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში, დოღი და მარულა უნდა დავივიწყოთ და ძაღლები ვაჭენოთ...

ვიცით, ვინც ეს ჩაიფიქრა, იტყვის, მერედა ვინ გიშლით, თქვენ ცხენები აჭენეთ, ჩვენ ძაღლებს შევაჯიბრებთო. სწორია, ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს, მაგრამ ვაი რომ ცხენი დღეს აღარავის ახსოვს. თქვე კაი ხალხო, თუ დოღიდან გინდათ გააკეთოთ ბიზნესი, ბარემ ჩვენებურ დოღზე შეგეჩერებინათ არჩევანი. აგერ, თბილისში ვეებერთელა იპოდრომია და მიგეხედათ საქმისთვის. ძაღლის დოღსა და ტოტალიზატორს, ცხენის დოღ-ტოტალიზატორი რომ ჯობია, ვფიქრობთ, სადავო არ არის.

მაგრამ მაინც ნუ ვიდავებთ, სურთ და აჭენონ ძაღლები, მაგრამ სად? აი, აქ მივადექით მთავარ სათქმელს — კინოდრომად თურმე თბილისში, ყოფილი ასკ-ს (ავლაბარი) სტადიონი შეურჩევიათ და ნებართვასაც ითხოვენ. ე.ი. ქალაქის ცენტრში ამ ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონზე (ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო იგი ვიდრე ფეხბურთის ფედერაციას ჰქონდა აღებული), ვეღარც ბავშვთა ჯგუფებს ვიხილავთ, ვეღარც საფეხბურთო მატჩებს და იქვე, „მეტეხში" მცხოვრები ჩამოსული გუნდებისთვის სავარჯიშოდაც აღარ იქნება ხელმისაწვდომი. აი, ამაზე მოგახსენებდით, სხვის ინტერესებსაც შელახვით ემუქრებაო, რომ ვთქვით.

საერთოდ, ქალაქის ცენტრში რამდენად მიზანშეწონილია კინოდრომის მოწყობა თუნდაც სანიტარული თვალსაზრისით?

მურად ცხენოსანიძე

ცნობები ქუთაისიდან

„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი იუზა კაციტაძე გვატყობინებს

მურად ჭიჭინაძის სახელობისა

ქუთაისის სპორტკომიტეტის თაოსნობით მდინარე ოლასკურას ხეობაში ჩატარდა შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში უდროოდ დაღუპული ცნობილი მთასვლელის სპორტის ოსტატ მურად ჭიჭინაძის სახელობის თასზე.

სასპარეზოდ სულ რვა გუნდი გამოვიდა. საბოლოო შედეგებით გაიმარჯვეს და მთავარი პრიზი მეორედ დაისაკუთრეს აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გუნდის (მწვრთნელები სერგო კოპალეიშვილი და მურთაზ ჩიხლაძე) წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე ამავე უნივერსიტეტის მეორე გუნდი გავიდა. მესამეზე კი ელექტრომექანიკური ქარხნის სპორტკლუბ „იმერეთის" გუნდი.

შეჯიბრებები სახელოვანი მთასვლელის თასზე მომავალში რეგულარულად ჩატარდება.

ლერი ფაჩუაშვილი

ქუთაისი „იმერ სპორტი".

ინტერესი მატულობს

ჭადრაკი, შაში, ნარდი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, მძლეოსნობა, მინი ფეხბურთი — ასეთი იყო ქუთაისის ლიცეუმების მეორე საქალაქო სპარტაკიადის პროგრამა. შარშანდელთან შედარებით სპარტაკიადამ უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც მონაწილეთა რაოდენობასთან ერთად სპორტულ შედეგებშიც გამოიხატა.

კვლავ იყოჩაღეს და სპარტაკიადის გამარჯვებულთა ტიტული შეინარჩუნეს სპორტული ლიცეუმის (დირექტორი თ. ჭაბუკიანი, დირექტორის მოადგილე სპორტის დარგში გ. კიკვიძე) წარმომადგენლებმა, რომლებმაც 1 280 ქულა დააგროვეს. მომდევნო ადგილზე გავიდა ჰუმანიტარული ლიცეუმის (დირექტორი მ. ყანჩაველი, ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ნ. დვალიშვილი) ნაკრები — 1080 ქულა. ელექტრონიკისა და კავშირგაბმულობის ლიცეუმის (დირექტორი ო. ნიქაბაძე, ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ზ. ჩოგოვაძე) გუნდმა 810 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მეორე და მესამე პრიზიორები შარშანაც ამ ლიცეუმების წარმომადგენლები იყვნენ.

გიორგი სერჟანოვი

ვასილი დავიდენკო სამი ეტაპი სიცხიანი იბრძოდა

„ჯირო დ'იტალიაში" მოასპარეზე ვასილ დავიდენკომ რბოლის დამთავრებამდე შეწყვიტა ბრძოლა. აი, რა თქვა ამასთან დაკავშირებით „როსლოტოს" ველოსიპედისტთა გუნდის სპორტულმა დირექტორმა ნიკოლაი გორელოვმა:

„ჩვენ შევძელით შეგვენარჩუნებინა გუნდი საკმაოდ მაღალი ფუნქციური მონაცემებით. მაგრამ ერთი დანაკლისი მაინც განვიცადეთ — რბოლა შეწყვიტა ვასილ დავიდენკომ. საქმე ის გახლავთ, რომ ერთ-ერთ ეტაპზე, როცა მთიდან ვეშვებოდით წვიმაში, საკმაოდ ძლიერ ქარსა და სიცივეში ვასილი გაცივდა. ამის მიუხედავად, სამი ეტაპი მან სიცხიანმა იარა — ტემპერატურა ჰქონდა 38 გრადუსი. უნდა გვენახათ რა გმირულად იტანდა გაჭირვებას, თვალებზე ცრემლები მოგადგებოდათ. მაგრამ იმედი იმისა, რომ დავიდენკო რბოლის პროცესშივე მომჯობინდებოდა, საბოლოოდ დავკარგეთ და იძულებული გავხდით მოგვეხსნა რბოლიდან. ისეთ შეჯიბრებაში, როგორიც „ჯირო", ველოსიპედისტის დაკარგვა ძნელი საქმე. ახლა ეს დანაკლისი დარჩენილებმა უნდა შეავსონ...

მკითხველი — გაზეთი

ყველაზე ხარისხიანი მედლები

პატივცემულო რედაქცია. ძიუდოისტთა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის შედეგები, თუ არ ვცდებით, არც ერთ გაზეთს არ გამოუქვეყნებია. თუ არის ამის საშუალება იქნებ ჩაგვაყენოთ საქმის კურსში?

გივი არაბული

ევროპის ძიუდოისტთა 44-ე ფორუმს 18-19 მაისს ჰააგა მასპინძლობდა.

60 კგ. 1. გ. ვაზაგაშვილი (საქართველო), 2. ნ. დონოჰიუ (ინგლისი), 3. ფ. შამბლი (საფრანგეთი) და დ. ძოვინაზო (იტალია).

65 კგ. 1. გ. რევაზიშვილი (საქართველო), 2. დ. დევისი (ინგლისი), 3. ლ. ბენბაოუდი (საფრანგეთი) და პ. შლატერი (გერმანია).

71 კგ. 1. დ. კინგსტონი (ინგლისი). 2. ტ. შლიახერი (ავსტრია), 3. ი. ჩიმჩიური (უკრაინა) და კ. გაგლიანო (საფრანგეთი).

78 კგ. 1. დ. ბურასი (საფრანგეთი). 2. ო. კრეცული (მოლდოვა), 3. პ. როიტერი (ავსტრია) და კ. სავჩიშკინი (რუსეთი).

86 კგ. 1. მ. ჰიუზინგი (ჰოლანდია), 2. ო. მალცევი (რუსეთი), 3. ს. კლიშინი (ავსტრია) და რ. ბიორჩი (ინგლისი).

95 კგ. 1. პ. ნასტულა (პოლონეთი), 2. პ. სუარეში (პორტუგალია), 3. კ. ლემარი (საფრანგეთი) და დ. სერგეევი (რუსეთი).

+95 კგ. 1. დ. ხახალეიშვილი (საქართველო), 2. ს. კოსოროტოვი (რუსეთი), 3. რ. კუბაცკი (პოლონეთი) და ს. თათაროღლუ (თურქეთი).

აბსოლუტური. 1. ი. პერტელსონი (ესტონეთი), 2. ს. თათაროღლუ (თურქეთი), 3. პ. ვან ბარნეველდი (ბელგია) და რ. ჩოჩიშვილი (უკრაინა).

ევროპის ჩემპიონატის 32 მედალი სულ 15 ქვეყნის მოჭიდავეებს შორის განაწილდა. ყველაზე მეტი ჯილდო ფრანგებმა მიიღეს (5), მაგრამ ყველაზე ხარისხიანი მედლები საქართველოს გუნდს ხვდა — 3 ოქროს მედალი. ცხრილში ნაჩვენებია თუ როგორ განაწილდა ჯილდოები ქვეყნებს შორის.

	ო.	ვ.	ბ.
საქართველო	3	-	-
ინგლისი	1	2	1
საფრანგეთი	1	-	4
პოლონეთი	1	-	1
ჰოლანდია	1	-	-
ესტონეთი	1	-	-
რუსეთი	-	2	2
ავსტრია	-	1	2
თურქეთი	-	1	1
მოლდოვა	-	1	-
პორტუგალია	-	1	-
უკრაინა	-	-	2
გერმანია	-	-	1
იტალია	-	-	1
ბელგია	-	-	1

შეგახსენებთ: ხელმოწერა «ლელოზე» გრძელდება!

ოლიმპიური მარშრუტი: თბილისის ზღვა - სავანა

(პირველი გვერდიდან)

გავიდა და შეჯიბრების ადგილზე ჩასვლა მომიხდა ერთი დღით ადრე. ასეთ ნაწვალებ სიტუაციაში მეცამეტე ადგილიც ვაჟკაცობა იყო.

● **კიდევ კარგი, რომ ახლა მაინც არ ხართ სხვებზე დამოკიდებულნი.**

— ეს, რა თქმა უნდა, დიდი ამბავია, მაგრამ ახლა სხვა გასაჭირი გვახრჩობს — უფულობა, თუმცა პირადად მე ამაზე არაფერი მეთქმის. ის კი არა, ყველამ მინდა იცოდეს, რომ კახი ასათიანმა, ჯანო ბაგრატიონმა, სხვებმაც, ვისზედაც არის დამოკიდებული ოლიმპიადისთვის სამზადისი, ყოველგვარი პირობები შემიქმნეს საამისოდ. მე, სხვას რომ თავი დავანებოთ, კაცურად არ შემიძლია ამ ამაგის დავიწყება.

● **თქვენს პარტნიორზე, სომელ ვლადიმერ ბრუზდევზე რას იტყვით?**

— 1986 წლიდან ვართ ერთად. მანამდეც ვმეგობრობდით. ნაკრებში ვიყავით მთელი ოცი წელი, ერთმანეთს მხარში ვედექით, გვინდოდა ერთ ნავში ვყოფილიყავით, მაგრამ ნაკრების მწვრთნელები ამის უფლებას არ გვაძლევდნენ. მათ ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრება ჰქონდათ. მე და ვლადიმერი კარგად ვავსებთ ერთმანეთს და იმედია, რაღაც წარმატებას მივაღწევთ.

● **სად, რომელ შეჯიბრებაზე მოახერხეთ ოლიმპიური ლიცენზიის მიღება?**

— აპრილში, იტალიაში, სპეციალური შეჯიბრება მოეწყო. მთელი ევროპა იყო წარმოდგენილი, არადა, ლიცენზიები მხოლოდ თორმეტი ქვეყნისთვის იყო ლიმიტირებული. ჩვენმა წყვილმა ამ შეჯიბრებაში VI ადგილი დაიკავა. უკეთ გამოსვლაც შეგვეძლო, მაგრამ რაკიღა გავინაღდეთ ლიცენზია, თავი აღარ მოგვიკლავს. ისე კი გეტყვით, ლიცენზიების გარეშე დარჩნენ და ატლანტაში ვეღარ გაემგზავრებიან: ინგლისი, ჰოლანდია, რუსეთი აი, ასეთ რთულ შეჯიბრებაში გავიტანეთ თავი. მინდა დამიჯეროთ, რომ ეს ტურნირი სიძლიერით ოლიმპიურსაც არ ჩამოუვარდებოდა.

● **გამოცდა, შესაძლოა უფრო უმნიშვნელო, მაგრამ იტალიის მერეც ალბათ გრძელდებოდა...**

— რა თქმა უნდა. ორჯერ გამოვედით გერმანიაში. პირველ ასპარეზობაში მეორე ადგილი გვერგო მასპინძელთა ნავის შემდეგ. მერე გერმანიის ღია პირველობაში ვცადეთ ჩვენი თავი. იქ მესამე ადგილი დავიკავეთ. შედეგით, ცხადია! კმაყოფილი ვართ, მით უფრო, რომ ჩვენი ორი ნავი უკვე ამერიკაშია და ამ რეგატებში ნათხოვი ნავებით ვასპარეზობთ.

● **როგორი იმედებით მიემგზავრებით ატლანტაში?**

— უიმედოდ ჩვენი მტერი იყოს. სამეულში მოხვედრა გვინდა და ყველაფერს ვიღონებთ, რომ მიზანს მივაღწიოთ.

● **ინტენსიური ვარჯიშის პერიოდი ალბათ მოთავდა?**

— ამ დღეებში ჩემი პარტნიორი თბილისში ჩამოვა. ამასობაში ბათუმიდან მივიღებთ ნავს და ვარჯიშს თბილისის ზღვაზე გავაგრძელებთ. 5 ივლისს სავანაში უნდა ვიყოთ, სავანა ქალაქია ოკეანის ნაპირზე, ატლანტიდან 300 კილომეტრით არის დაცილებული. აფროსანთა ოლიმპიური რეგატა სწორედ იქ მოეწყობა. შეჯიბრება 22 ივლისს დაგვეწყება, ასე რომ, აკლიმატიზაციისთვის და ბოლო ვარჯიშებისთვის თითქმის ორი კვირა გვექნება დარჩენილი.

■

ვიქტორ პონედელნიკი:
რუსთაველზე ვყიდდი ლერწამს...

ქართველ გულშემატკივრებს რომ ყველაზე მეტად ქართველი ფეხბურთელები უყვართ, ეს გასაგებია. მაგრამ საკუთარი მოთამაშეების შემდეგ ყველაზე მეტად რომ ვიქტორ პონედელნიკს აფასებენ, ესეც ცხადზე ცხადია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ რამდენიმე ხნის წინათ სლავა მეტრეველის საიუბილეო საღამოზე, როდესაც დარბაზში ყველასათვის მოულოდნელად შემოვიდა ვ. პონედელნიკი. რომ იტყვიან, პირდაპირ აეროპორტიდან ამოჰყო თავი აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში. სტუმარს ისეთი ოვაცია გაუმართეს, უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩავარდა. მერე გამოგვიტყდა, არ ვიცოდი მზერა სად წამეღო, — თითქოს მე გახლდით იუბილარი.

ოფიციალურ ნაწილს, მოგეხსენებათ, ბანკეტი მოჰყვა, საფეხბურთო ენით რომ ვთქვათ, „მესამე ტაიმი“. იმ დღეს, ცხადია, არ მოხერხდა ამ შესანიშნავ ფეხბურთელთან საუბარი, მეორე დღეს კი დილიდანვე გავემგზავრე ვაკეში, თერგის ქუჩის, 7 ნომერ სახლში. სწორედ აქ, თავისი ძველი მეგობრის ბორის ჭილვარიას ბინაზე, გაჩერდა ჩვენი ქალაქის სტუმარი. თუმცა სტუმარი ამ შემთხვევაში სწორი არ იქნება. საქმე ისაა, რომ ვიქტორ პონედელნიკი, როგორც თავად ამბობს, ძველი თბილისელია. მაგრამ უმჯობესია თავად გვიამბოს ყოველივე.

— მთელი ოთხი წელიწადი ვცხოვრობდი თბილისში და ასე მგონია, სიმღერა „მე თბილისელი ბიჭი ვარ“ ჩემზეა დაწერილი. ომის ქარ-ცეცხლი მძვინვარებდა ჩვენთან, ხშირ-ხშირად იბომბებოდა ჩემი მშობლიური როსტოვი, როდესაც ბიძაჩემმა — ტაგანროგის საავიაციო ქარხნის დირექტორის მოადგილემ, თავისი ქარხნისა და როსტოვის ანალოგიური საწარმოს კარგა მოზრდილ კოლექტივთან ერთად (მერე ისინი თბილისის ცნობილ 31-ე ქარხნის შემადგენლობაში შევიდნენ) მოახერხა დედაჩემისა და ჩემი უფროსი დის სვეტლანას ევაკუაცია თბილისში. ჩვენ პლეხანოვზე მდებარე ყოფილ სასტუმრო „ევროპაში“ ვცხოვრობდით, მერე „რუსთავი“ რომ დაარქვეს. ხუთი წლის ვიყავი. მალე შევიტყვე, რომ მორიახლოს დიდი სტადიონი იყო. „დინამო“ ეწერა მის შესასვლელს. ექვსი წლისა რომ გავხდი, იქ პირველი ფეხბურთელები ვიხილე, თანდათან გვარებიც შევიტყვე — პაიჭაძე, ჯეჯელავა, დოროხოვი, შავგულიძე, ბერძენიშვილი, ფროლოვი, გაგუა, პანიუკოვი, ბერეჟნოი, ხარბედია... ბიჭებს თავისუფალი დროს მეტი რა გვქონდა (დედა მორიგეობიდან გვიან მოდიოდა დაღლილი) და ჩვენც სულ სტადიონზე „ვეგდეთ“. ცოტა კიდევ რომ წამოვიზარდეთ, ვცდილობდით მიგვებაძა ჩვენი კერპებისათვის, სულ ერთთავად ბურთს ვთამაშობდით. ზოგჯერ „დინამოს“ მინდორზეც კი შევიპარებოდით ხოლმე ტყავის ბურთის გასაგორებლად. ხშირ-ხშირად ლისის ტბაზეც ავდიოდით. გვარიანად ვბანაობდით, მერე ლერწამს მოვჭრიდით და რამდენსაც მოვერეოდით შინ წამოვიღებდით. დილით რუსთაველის პროსპექტზე გავდიოდით და ვყიდდით. აღებული ფულით ნაყინს ვყიდულობდით და კინოში დავდიოდით — „რუსთაველში“, „ამირანში“, „ოქტომბერში“, ერთი ფილმიც არ გამოგვიტოვებია. მოგვწონდა საზღვარგარეთული ფილმები „მზიური ველის სერენადა“, „ჯორჯი დინკი ჯაზიდან“, „ჩემი ოცნების ქალიშვილი“, მაგრამ ყველაზე მეტად, დამიჯერეთ, მაინც „გიორგი სააკაძის“ ცქერა გვიყვარდა. აუჰ, რა ბრძოლები იყო იქ ხმლებით!.. 9 წლისა ვიყავი, როდესაც 1946 წლის მიწურულში მამამ მოგვძებნა და მოსკოვში წაგვიყვანა. ისე შევეჩვიე თბილისს, ისე შემაყვარეს აქ ფეხბურთი, რომ წასვლა აღარ მინდოდა. სხვათა შორის, სწორედ აქ ვნახე ჩემი პირველი საერთაშორისო მატჩი იუგოსლავიის „პარტიზანთან“ (ბელგრადი) 2-1 რომ მოუგო ჩვენს „დინამოს“. ვიღაც უფროსმა „ძიებმა“ შეგვიყვანეს უბილეთოები სტადიონზე. მოვიხიბლე ჩაიკოვსკის, ბობეკის, მიტიჩის თამაშით, სამაგიეროდ ბერძენიშვილმა ისეთი ეშმაკური პენალტი გაუტანა გაოგნებულ მეკარე გლაზერს, დღესაც მეცინება. მოგვიანებით ბედნიერება მქონდა იუგოსლავიაში ყოფნისას, პირადად გამეცნო ზლატკო ჩაიკოვსკი.

● **ვიცით, რომ მამათქვენი ჟურნალისტი იყო, ალბათ, მისგან მოდის თქვენი ჟურნალისტური გენები?**

— დიახ, მამაჩემი ვლადიმერ ნიკიტას ძე, სხვადასხვა დროს იყო ჩრდილოეთ კავკასიის კორესპონდენტთა პუნქტის ხელმძღვანელი, „იზვესტიის“, „ლიტერატურნაია გაზეტას“ საკუთარი კორესპონდენტი, გაზეთების „კრასნაია ზვეზდასა“ და „სოვეტსკაია მოლდავიას“ რედაქტორი. მერე, მოგეხსენებათ, წლების მანძილზე მეც ვმუშაობდი პრესაში. ვიყავი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედკოლეგიის წევრი, მერე ფეხბურთის განყოფილების რედაქტორი და ბოლოს, ექვსი წლის მანძილზე — ყოველკვირეული „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქტორი.

● **სწორედ ამ პერიოდიდან გიცნობთ ახლოს. კარგ გაზეთს აკეთებდით, პროფესიონალურს, დამოუკიდებელი პოზიცია გქონდათ, უკომპრომისო...**

— აი მაგაშია მთელი საქმე. სპორტული ჩინოვნიკები ვერ მიტანდნენ. ვერ ახერხებდნენ ჩემთვის ალვირის დადებას. კარგა ხანია აპირებდნენ სარედაქტორო სავარძლიდან ჩემს გაგდებას. ბოლოს უღირს ხერხს მიმართეს. საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ 1990 წელს, როდესაც მე საზღვარგარეთ ვიყავი მივლინებაში,... დახურა „ფუტბოლ-ხოკეი“ და... იქვე „ფუტბოლი“ გახსნა. ცხადია, ახალი რედაქტორით. ასეთი „ფინტი“ ალბათ, მიშა მესხსაც გაუჭირდებოდა! შინ გამომიგზავნეს განთავისუფლების დეპეშა. ამავე დროს თურმე გატეხეს ჩემი სარედაქტორო ოთახი, რათა რაიმე კომპრომატი ეპოვნათ.

● **სანამ „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე თქვენს მიერ გატანილ იმ ოქროს ბოლამდე მივალთ, კიდევ რამდენიმე შეკითხვა მაქვს. ერთ-ერთ საფეხბურთო ბუკლეტში, 1965 წელს რომ გამოუშვა ლუჟნიკის სტადიონის პრესბიურომ, წერია სიტყვა-სიტყვით: „ვ. პონედელნიკი იმსახურებს განსაკუთრებულ პატივისცემას იმითაც, რომ ბოლომდე დარჩა მშობლიურ როსტოვის გუნდში და ვაჟკაცური უარი თქვა სხვა კლუბებში თამაშის წინადადებებზე“. მაგრამ თქვენ ხომ 1966 წელს მოსკოვის „სპარტაკში“ იყავით?**

— და კიდევ ცსკა-ში 1960 წელს. ეს შესაძლებელია თქვენც არ იცოდეთ. მაღალმა გენერლებმა გადაწყვიტეს, რომ მე როსტოვის არმიელთა გუნდის ნაცვლად, მოსკოვის არმიელების ღირსება უნდა დამეცვა. წარმოიდგინეთ, ჩემს ქალაქში ავტომატებით შეიარაღებული სამხედრო პატრული გამოაგზავნეს „ურჩი ფეხბურთელის“ წასაყვანად. წამიყვანეს კიდეც. იცით ვინ დამაბრუნა უკან? შოლოხოვმა! დიახ, ჩემმა დიდმა თანამემამულემ მიხაილ შოლოხოვმა. მან ტელეფონით დაურეკა ცკ-ას პრეზიდიუმის წევრს ეკატერინა ფურცევას, სპორტსაც რომ კურატორობდა, და აღშფოთებულმა მოახსენა, რომ გენერლებმა კომკავშირის ცკ-ას პირველი მდივნის სერგეი პავლოვის ხელშეწყობით „მოიპარეს“ როსტოვიდან ფეხბურთელი პონედელნიკი. ფურცევამ უყურადღებოდ არ დატოვა შოლოხოვის პროტესტი, დაუკავშირდა პავლოვს და ნახევრადმოფერებით, ნახევრად სერიოზულად უთხრა: „სერიოჟენკა, ნუ შეუშლით ხელს ვიტენკას დაბრუნდეს მშობლიურ როსტოვში“. ათასი გულშემატკივარი დამხვდა ჩემი ქალაქის ვაგზალზე. ხელში ამიტაცეს და თითქმის სახლამდე მატარეს ასე. რაც შეეხება მოსკოვის „სპარტაკს“, აქ მე არც ერთი მატჩი არ მითამაშია, სულ ერთი თვე ვიყავი გუნდთან შეკრებაზე შუა აზიაში 1966 წლის სეზონის დასაწყისში. ცოტა ადრე კი სპარტაკელებმა წამიყვანეს ტურნეში სამხრეთ ამერიკაში. ეს იყო და ეს!

● **მუდამ მაინტერესებდა თქვენი გვარის წარმომავლობა...**

— ბებიაჩემისაგან გამიგონია: ძველად, როდესაც გლეხებს ანთავისუფლებდნენ ყმობიდან, ეგრეთ წოდებულ „იურის დღეს“ — იგი, როგორც წესი, ორშაბათი იყო. აქედან მოდის ჩვენი გვარი — „პონედელნიკი“.

● **ცნობილია ასეთი ხუმრობა: „მამას სამი შვილი ჰყავდა, ორი ჭკვიანი, მესამე კი... ფეხბურთელი“. თქვენ, შეიძლება ითქვას, მთელი არსით, აზრიანი, ინტელიგენტური, ელეგანტური ფეხბურთით უარყავით ეს სენტენცია. ვიცით, რომ ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან ერთად, დაამთავრეთ ორი უმაღლესი სასწავლებელი, უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ასპირანტურა. აი, მერე როგორ წარიმართა თქვენი „არასაფეხბურთო“ მოღვაწეობა?**

— მილანში დავამთავრე იტალიის მენეჯერთა ერთწლიანი სკოლა, ამირჩიეს შემოქმედებითი საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამჟამად დაკავებული ვარ მოზარდთა სპორტული სკოლისა და ორიგინალური გამაჯანსაღებელ-კულტურული ცენტრის შექმნით. გარდა ამისა, მაინც ვახერხებ ჟურნალისტურ მოღვაწეობას — ვარ გაზეთ „ტრუდის“ სპორტული მიმომხილველი.

● **თქვენი ოჯახიც გაგვაცანით, თუ შეიძლება?**

— მეუღლე ირინა ეკონომისტია. უფროსი ქალიშვილი — ვიქტორია პროფესიით რეფერენტ-თარჯიმანია, უმცროსმა ნასტიამ წლეულს დაამთავრა ფრანგული პროფილის სკოლა, ვაჟი ვალენტინი დაოჯახებულია, ფეხბურთს არ გაჰყოლია, იგი სამხედროა. უკვე სამი შვილიშვილი მყავს... უმცროსს, 10 წლის სერიოჟას, ძალიან უყვარს ფეხბურთი, ოცნებობს ცენტრფორვარდი გამოვიდეს.

● **თქვენი მასპინძლისაგან, ბატონ ბორის ჭილვარიასაგან — იგი საქართველოს სააქციო საზოგადოება „ხიმშენის“ პრეზიდენტია — ვიცით, რომ იშვიათი გულკეთილი ბრძანდებით. ყველას გინდათ გაუწოდოთ დახმარების ხელი.**

— იყო შემთხვევები, როდესაც მიმიღია კონვერტები წარწერით: „უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ვიქტორ პონედელნიკს!“. არადა, არასოდეს ვყოფილვარ დეპუტატი. მათ რატომღაც ეგონათ, რომ ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი აუცილებლად დეპუტატი უნდა იყოს. მთხოვდნენ დახმარებას ბინის მიღებაში, დეფიციტური წამლის შოვნას; ცნობილ ექიმთან საოპერაციოდ მოხვედრას; მარტოხელა პენსიონერის დახმარებას და ასე შემდეგ. საქმე ყოველთვის როდი გამომდიოდა, მაგრამ ამ მცდელობას არ ვაკლებდი.

● **თქვენს წიგნში „ფეხბურთი, ჩემი სიყვარული“ ძალზე თბილად წერთ ქართველ ფეხბურთელებზე, კერძოდ მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველზე...**



Дорогим любителям футбола-
читателям "Лело", желаю мира,
добра, любви и счастья!
Старый тбилисец
30 мая 1996 года

— სხვაგვარად აბა როგორ? ორივე უდიდესი ფეხბურთელი იყო. „მიხო“, როგორც სიყვარულით ვეძახდით ნაკრებში მესხს, მართლაც უნიკალური ოსტატი გახლდათ, ასეთები 100 წელიწადში ერთხელ იბადებიან. იგი არავის არ ჰგავდა და შეუძლებელია დაემსგავსო მასაც. ჩვენ დიდებულად ვუგებდით ერთმანეთს და, სხვათა შორის, გარკვეული ქართული სიგნალიზაციაც გვქონდა, რაც არ ესმოდა ჩვენს მეტოქეს. 1961 წელს ბუენოს-აირესში „რივერ-პლეიტის“ სტადიონზე რომ დავამარცხეთ 2-1 არგენტინის ნაკრები (პირველად თავის მოედანზე), თავდაპირველად ტრიბუნები, ბუნებრივია, ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი, მაგრამ „მიხომ“ რომ თავისი საფირმო ფინტები ჩაუტარა მეურვეს, გულშემატკივრებმა გული ჩვენსკენ იბრუნეს. ასეთი რამ ამ სტადიონს არ ახსოვს. პირველი გოლი მე სწორედ მესხის მოწოდებით გავიტანე, მეორე — მეტრეველის. მიშა ძალზე ადრე წავიდა ფეხბურთიდან და, საერთოდ მიმაჩნია, რომ ნაკრებში ზოგჯერ დაუმსახურებლად ჩაგრავდნენ — ხან ჰუსაინოვს ამჯობინებდნენ, ხან ლობანოვსკის, ხან ხმელნიცკის, ხან კიდევ ვის. მიშა კი ყველას ჯობდა აშკარად. მესხის სრული ანტიპოდი იყო სლავა მეტრეველი. ხუმრობით მას „ბუზი“ შევარქვით ბიჭებმა. მოგეხსენებათ, ერთი წუთითაც არ ჩერდება ადგილზე. სულ სადღაც მიიჩქაროდა, სულ რაღაცას იგონებდა, სულ ხუმრობდა. შეიძლება ითქვას, მან მართლაც გაუსწრო თავის დროს — ნამდვილად ხვალინდელ ფეხბურთს თამაშობდა. თითქოს პეპელა, ისე დაფრინავდა მოედანზე, ელეგანტურად, ლაღად ატყუებდა მეტოქეს. ამავე დროს ნამდვილი უნივერსალი იყო — წარმატებით თამაშობდა გარემარბადაც, ცენტრშიც და წარმოიდგინეთ, მეკარედაც. ეგებ ბევრმა არ იცის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე იაშინის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, იგი უნდა შეეცვალა... მეტრეველს (მეკარით შეცვლა არ იყო ნებადართული), ისე როგორც პელეს — ჟილმარი.

● **თავის დროზე ორივეს — მეტრეველისა და მესხის — თამაშით აღტაცებული იყო თვით ელენიო ერერა...**

— და განა მარტო ერერა? როდესაც ევროპის თასი მოვიპოვეთ, ოქროს მედლების გადაცემის ცერემონიალი ეიფელის კოშკზე მდებარე რესტორანში გაიმართა. იქვე იყო მადრიდის „რეალის“ მეპატრონე, სახელგანთქმული სანტიაგო ბერნაბეუ (ვის სახელსაც ატარებს დღეს ესპანეთის მთავარი სტადიონი). ბერნაბეუმ წინადადება მოგვცა მესხს, მეტრეველს, იაშინს, ივანოვს და მე კონტრაქტით გადავსულიყავით „რეალში“, მაგრამ იქვე დასძინა: „ბატონებო, მე ვიცი, რომ თქვენ აქ არავინ გამოგიშვებთ!“

● **ნაკრებში თქვენ გითამაშიათ აგრეთვე ჩვენს გივი ჩოხელთან, ზაურ კალოევთან, სერგო კოტრიკაძესთან, რამაზ ურუშაძესთან...**

— ჩოხელისნაირი კაცის ნახვაც ისევე ძნელია, როგორც მისნაირი ფეხბურთელის. საიმედო მეგობარი იყო, მაღალტექნიკური, ჭკვიანი ოსტატი. როდესაც იგი ნაკრებში პირველად გამოვიდა ავადგამხდარ კესარევის ნაცვლად, [illegible] ისე ითამაშა, თითქოს მთელი ცხოვრება ამ გუნდში გაეტარებინოს. ზაურ კალოევსაც მუდამ დიდი პატივისცემით ვექცეოდი. ბევრი რამ მასწავლა, არასოდეს შურდა კონკურენტის. შეუდარებლად თამაშობდა თავით, ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენთან მას ბადალი არ ჰყავდა. გულწრფელად ვულოცავ დაბადებიდან 65 წელს, სიამოვნებით დავესწრებოდი მის იუბილეს, რომ გამეგო. რაც შეეხება სერგო კოტრიკაძეს, იგი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იყო ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში. უშიშარი, ჭკვიანი, მშვენიერი ნახტომები და რეაქცია ჰქონდა. ვფიქრობ, დიდი შეცდომა იყო, როდესაც იგი ჩილის მსოფლიო ჩემპიონატზე არ გამოიყვანეს. [illegible] ლად. მოგეხსენებათ, იაშინმა კოლუმბიასა და ურუგვაისთან [illegible] ორმაგი შერყევა მიიღო და აკი ამიტომაც გაუშვა ორი იოლი ბურთი არიკას სტადიონზე ლეონელ სანჩესისა და როხასის შორი დარტყმების შემდეგ. მითამაშია თქვენს რამაზ ურუშაძესთანაც. ეს იყო 1963 წელს მოსკოვში იტალიის ნაკრებთან მატჩში. დინჯი, საიმედო მეკარე იყო, კარგი სპორტსმენი და ადამიანი.

● **როსტოვის გუნდებში არაერთ ჩვენს ფეხბურთელს უთამაშია — რობერტ ტოგონიძეს, ავთანდილ ხელაძეს, ალექსანდრ აზდარიდის, ვლადიმერ ვარდიმიადს, რობერტ გულაშვილს, ლესელიძელ ვიქტორ გეტმანოვს. ერთ დროს თქვენს გუნდს ავარჯიშებდა თბილისელი გავრილ (გავრო) ბოგატელო, რომელიც 1947 წლის სეზონში თბილისის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელი იყო.**

— დიახ, ბოგატე ასკ-ში ჯერ უფროს მწვრთნელ პიოტრ შჩერბატენკოსთან გვავარჯიშებდა, მერე კი გრიგორი დუგანოვთან ერთად. ახალგაზრდობაში საკმაოდ ტექნიკური ფეხბურთელი იყო, როსტოვში სწორედ მან შემოიღო მოჭრილი ბურთის დარტყმა, საუკეთესოდ აწვდიდა კუთხურს. სხვათა შორის, ჩვენს ქალაქში გულშემატკივრები ერთხანს ფეხბურთზე სპეციალურად გავრო ბოგატელოს თამაშის საცქერლად დადიოდნენ. მას მოსკოვშიც იწვევდნენ სათამაშოდ. ბოგატელოს სიძე — ენვერ იულგუშოვი დღეს „როსტსელმაშის“ მწვრთნელია. მოგეხსენებათ ამ გუნდში ახლა ყოფილი თბილისის დინამოელი, მეკარე აკაკი დევაძე თამაშობს.

● **ერთი ფეხბურთელი გამოგვრჩა — ჩვენი კეთილი მასპინძელი ბორის ჭილვარია.**

— თავის დროზე იგი ჯერ ვლადიმირის „ლოკომოტივში“ თამაშობდა მარჯვენა გარემარბად. მერე როსტოვის საკლუბო და ვეტერანთა გუნდებში გამოდიოდა. ბორისი პირველი თანრიგის მოკრივეც გახლავთ. წლების მანძილზე (1960-76 წლებში) იგი როსტოვის „ხიმშენის“ უფროსად მუშაობდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით აიგო ჩვენთან მდინარე დონზე უზარმაზარი ხიდი. ბატონ ბორისთან ოჯახებით ვმეგობრობ, ვყოფილვარ მის მშობლიურ სოფელ ჭრებალოშიც რაჭაში, მის აგარაკზე პანტიანში. რომ იტყვიან, ფეხბურთის დაუძინებელი გულშემატკივარია დღესაც.

● **თბილისში კარგა ხანია არ ყოფილხართ? სამწუხაროდ, ადრე რამდენჯერმე მოგიწიათ ჩამოსვლა უსიამოვნო მიზეზთა გამო — შოთა იამანიძის, მიხეილ მესხის, ბორის პაიჭაძის დაკრძალვაზე. ამჟამად რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ჩვენმა ქალაქმა?**

— უპირველეს ყოვლისა, „დინამოს“ სტადიონს ვეწვიე, დავათვალიერე თბილისის ძველი უბნები, ჩავუარე ჩემს ძველ სასტუმროს. გული დამწყვიტა იერშეცვლილმა რუსთაველის გამზირმა, ყველაზე მეტად კი — ფუნიკულიორმა, რომელიც მამადავითის მთასთან ერთად ჩემთვის მუდამ რაღაც განსაკუთრებულად წმინდა ადგილი იყო. გული შემეკუმშა, როდესაც ახლო ვნახე ფუნიკულიორი, რას დამსგავსებია. გული მწყდება, რომ აღარ მესმის თბილისის ქუჩებში მაწვნის გამყიდველთა, მემწვანილეთა, ყვავილების მიწის, „აკოშკის — შუშების“ ხმა. არ მესიამოვნა, როდესაც შევიტყვე, რომ „დინამოზე“ მატჩებს დღეს ცოტა მაყურებელი ესწრება, თურმე სტადიონზე ფეხბურთის ფანატიკოსებიც აღარ დადიან. არადა, როგორი დიდებული ფეხბურთი იცოდა თბილისმა. აქ დღესაც მრავალი ნიჭიერი ბიჭი თამაშობს ფეხბურთს, საქართველო ხომ ნამდვილი ბრაზილიაა. საჭიროა, რაიმე ვიღონოთ, თორემ ასე დიდი ჩამორჩენაა მოსალოდნელი. ეგებ სნგ-ს ჩემპიონატი შემოვიღოთ. აი, ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანია“ გახდა ჩემპიონი, მაგრამ მის შემადგენლობაში ხომ ნახევარზე მეტი ქართველები არიან.

● **დაბოლოს იმ თქვენი „ოქროს გოლის“ შესახებ, ევროპის ჩემპიონობა რომ მოუტანა 1960 წელს სსრკ ნაკრებს.**

— ის მატჩი არასოდეს დამავიწყდება, მახსოვს ყველა დეტალი. 113-ე წუთი მიმდინარეობდა, ტაბლოზე 1:1 ეწერა. იუგოსლაველი გალიჩისა და ჩვენი მეტრეველის ზუსტი დარტყმის შემდეგ უცებ მესხმა სწრაფად „დაიჭირა“ ბურთი ვოინოვის გადაცემიდან, მოხდენილად ჩაატარა თავისი საფირმო ფინტი და მართლაც უჭკვიანესი პასი გააკეთა 11-მეტრიანის რაიონში. ამ ბურთის არშეგდების უფლება მე არ მქონდა. შევამჩნიე, რომ მეკარე ვიდინიჩი და მცველები აგვიანებენ ბურთზე გასვლას, სწრაფად და მძლავრად ავხტი და... ჰაერშივე მივხვდი, რომ ბურთს გავიტან. დავარტყი თავით, იქვე წამაქციეს. გოლის გატანა არ მინახავს, მაგრამ ტრიბუნების ხმაურით მივხვდი, რომ ბურთი ბადეშია. გავიმარჯვეთ! ასეა თუ ისე, ამ „ოქროს გოლის“ თანაავტორად მე ჭეშმარიტად ჩემს მიშა მესხს ვთვლი.

ოთარ ნოზაძე

სურათზე: ვიქტორ პონედელნიკი იტალიელ მცველ ბულგარელითან ორთაბრძოლაში 1963 წლის მატჩში მოსკოვში.

ალექსეი ხომიჩის ფოტო

წარმოგიდგენთ ფინალისტებს • C ჯგუფი

UEFA EURO 96 England

2.ჩეხეთი

- ქვეყნის ფეხბურთის კავშირი შეიქმნა 1901 წლის 19 ოქტომბერს.
- ფიფას წევრი 1906 წლიდან.
- სათამაშო ფორმა: მაისურები – წითელი, ტრუსები – თეთრი, გეტრები – ლურჯი.
- პირველი ოფიციალური მატჩი გამართა პრაღაში 1912 წელს მორავიის ნაკრებთან. – 2-1.
- კონტინენტის პირველობის დებიუტანტი.

1996 წლის შესარჩევი ციკლი: მალტასთან — 6-1 (შმეიკალი, კუბიკი, ზიგლი — 3, ბერგერი), 0-0. ჰოლანდიასთან — 0-0, 3-1 (სკუხრავი, ნემეჩეკი, ბერგერი). ბელორუსიასთან — 4-2 (კადლეცი, ბერგერი — 2, კუკა), 2-0 (ფრიდეკი, ბერგერი). ლუქსემბურგთან — 0-1, 3-0 (დრულაკი — 2, ბერგერი). ნორვეგიასთან — 1-1 (სუხოპარეკი), 2-0 (სკუხრავი, დრულაკი). ქვეჯგუფში — პირველი ადგილი.

შესარჩევ ტურნირში ჩაატარა 10 მატჩი: მოიგო — 6, ფრედ დაამთავრა 3, წააგო 1 შეხვედრა. ბურთების შეფარდება — 21-6.

ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: პეტერ კოუბა — 1969 წ. 28 იანვარი. „სპარტა“ პრაღა, 27. პაველ სრნიჩეკი — 1968 წ. 10 მარტი. „ნიუკასლ იუნაიტედი“ ინგლისი, 3. ლადისლავ მაიერი — „სლოვანი“

მცველები პეტერ გაბრიელი — 1973 წ. 17 მაისი, „ვიქტორია“ ქივცოვი 2. მიჩალ ჰორნაკი — 1970 წ. 28 აპრილი. „სპარტა“ პრაღა, 2. მიროსლავ კადლეცი — 1964 წ. 22 ივნისი. „კაიზერსლაუტერნი“ გერმანია, 49 (2). რადოსლავ ლატალი — 1970 წ. 6 იანვარი. „შალკე-04“ გერმანია, 24 (3). ირჟი ლერხი — 1971 წ. 17 ოქტომბერი. „სლავია“ პრაღა, 1. ვაცლავ ნემეჩეკი — 1967 წ. 25 იანვარი. „სერვეტი“ შვეიცარია, 53 (6). ტომას რეპკა 1974 წ. 2 იანვარი. „სპარტა“ პრაღა 13. იან სუხოპარეკი — 1969 წ. 23 სექტემბერი. „სლავია“ პრაღა, 28 (2).

ნახევარმცველები: პატრიკ ბერგერი — 1973 წ. 10 ნოემბერი. „ბორუსია“ დორტმუნდი გერმანია, 12 (8). მიხალ ბილეკი — 1965 წ. 13 აპრილი. „ვიქტორია“ ქივკოვი, 34 (11). მარტინ ფრიდეკი — 1969 წ. 9 მარტი. „სპარტა“ პრაღა 21 (2). პაველ ჰაპალი — 1969 წ. 27 ივლისი. „ტენერიფე“ ესპანეთი, 29 (1). პაველ ნედვედი — 1972 წ. 30 აგვისტო. „სპარტა“ პრაღა, 5. ირჟი ნემეცი — 1966 წ. 15 მაისი. „შალკე-04“ გერმანია, 35. კარელ პოზორსკი — 1972 წ. 30 მაისი. „სლავია“ პრაღა, 11.

თავდამსხმელები: რადეკ დრულაკი — 1962 წ. 12 იანვარი. „პეტრა დრნოვიცე“, 10 (4). პაველ კუკა — 1968 წ. 19 ივლისი. „კაიზერსლაუტერნი“ გერმანია 89 (12). ვრატისლავ ლოკვენცი — 1975 წ. 27 სექტემბერი. „სპარტა“ პრაღა. 2. პეტი სამეცი — 1964 წ. 14 თებერვალი. „გრადეც-კრალოვე“ 9 (2). ტომაშ სკუხრავი — 1965 წ. 7 სექტემბერი. „ჯენოა“, 49 (17). ვლადიმირ შმიჩერი — 1975 წ. 24 მაისი. „სლავია“ პრაღა, 2.

მთავარი მწვრთნელი: დუშან უგრინი.

ჩეხეთის ეროვნული ნაკრები

კადლეცი

ჩეხეთის ფეხბურთელთა ნაკრებს უწინ ევროპის პირველობებზე დიდი მიღწევები ჰქონდა, იყო კონტინენტის ჩემპიონიც, მაგრამ ამჯერად მიმომხილველები მას კარგს არაფერს უქადიან. თუ რამდენად სწორი არიან ისინი, ახლო მომავალი გვაჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, შესარჩევი ტურნირი ჩეხებმა სავსებით დამაჯერებლად წარმართეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. ჯგუფის ფავორიტებად მიჩნეულმა ჰოლანდიელებმა კი, რის ვაივაგლახით, მხოლოდ დამატებით მატჩში მოიპოვეს ფინალის საგზური.

ჩეხეთში ფეხბურთის არაერთი ცნობილი სპეციალისტია, იეჟეკსა და ვენგლოშს ადრე ნაკრებში დიდი წარმატება ჰქონდათ, მაგრამ ბოლო წლებში მიიჩნიეს, რომ ორივეს ყველი გაუვიდა და 1993 წლის ზაფხულიდან ნაკრებს სათავეში ჩაუყენეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ნაკლებად ცნობილი დუშან უგრინი.

უგრინი ეროვნებით სლოვაკია, მაგრამ მთელი თავისი საქმიანობით ჩეხურ ფეხბურთთან არის დაკავშირებული. ხელმძღვანელობდა სხვადასხვა კლუბს, მათ რიცხვში პრაღის „სპარტასა“ და ხების „უნიონს“, აგრეთვე, გრადეც-კრალოვეს „სპარტაკს“. ყველაზე დიდ წარმატებას პრაღის „სპარტაში“ მიაღწია, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობდა.

უგრინს დიდ მიღწევად ჩაეთვალა ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაყვანა. მწვრთნელს, თითქოს, უკმაყოფილება უნდა გამოეთქვა წილისყრის შემდეგ, რომელმაც ჩეხებს წინასწარ ჯგუფში იტალიელები, გერმანელები და რუსები შეახვედრა, მაგრამ იგი სულ სხვა აზრისაა:

— წილისყრისას, ჩემი აზრით, ნამდვილად გაგვიმართლა. ჩვენს მეტოქეებს ძალიან გაუჭირდებათ და ის, ვინც თავიდანვე არაფრად გვაგდებს, აშკარად მოტყუვდება, მომავლის იმედი გვაქვს.

ახლა კი განვიხილოთ თუ რა ძალები ჰყავს ამ ოპტიმისტურად განწყობილ მწვრთნელს.

მის განკარგულებაში არიან სავსებით საიმედო მეკარეები. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ უგრინმა ნაკრებში აღარ მიიწვია ლუდეკ მიკლოშკო, რომელიც ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ თამაშობს და დიდხანს ძირითად მეკარედ ითვლებოდა (40 მატჩი ნაკრებში). მართალია, მიკლოშკო მაინც არის ჩეხეთის დელეგაციაში, მაგრამ არა როგორც მოთამაშე, არამედ ინგლისური ფეხბურთის მცოდნე და, ამდენად, უგრინის თავისებური კონსულტანტი.

მიკლოშკო ძირითადი მეკარის პოსტზე შეცვალა პეტრ კოუბამ (პრაღის „სპარტა“), სწორედ მან გადაიტანა შესარჩევი ტურნირის მთელი სიმძიმე. ზოგიერთ შეხვედრაში გამოდიოდა პაველ სრნიჩეკი (ინგლისის ვიცე-ჩემპიონი, „ნიუკასლ იუნაიტედი“), მას კოუბასაც ამჯობინებდნენ, მაგრამ სრნიჩეკმა ძალიან სუსტად ითამაშა ბელარუსებთან და ახლა, ასე ვთქვათ, თადარიგშია.

ჩეხეთის ნაკრები სამი მცველით თამაშობს. აი ეს რჩეული სამეული: მიროსლავ კადლეცი — იან სუხოპარეკი — ტომაშ რეპკა. 32 წლის კადლეცი შესანიშნავ სტოპერად ითვლება. იგი დიდი ხანია „კაიზერსლაუტერნში“ გამოდის და იყო წლები, როცა ბუნდესლიგის საუკეთესო მცველად მიიჩნევდნენ ლეგიონერებს შორის, უნარიანად ადუღაბებს ნაკრების დაცვას. მასთან წყვილში კი ძალიან კარგად თამაშობს მკვეთრად მოქმედი სუხოპარეკი („სლავია“). ამავე გუნდში გამოდის რეპკაც, ახალგაზრდა, ენერგიული მცველი, რომელსაც არაერთი უცხოური კლუბი ეპატიჟება. საჭიროების შემთხვევაში დაცვის ხაზზე გამოჩნდება ხოლმე მრავალნაცადი ლიუბოშ კუბიკი („ნიურნბერგი“).

აი ნაკრების ნახევარმცველთა ხუთეული: რადოსლავ ლატალი — პატრიკ ბერგერი — ვაცლავ ნემეჩეკი — ირჟი ნემეცი — პაველ ჰაპალი. ლატალს თამაში შეუძლია როგორც ნახევარდაცვაში, ისე დაცვაშიც. როცა საჭირო ხდება ოთხი მცველის გამოყვანა, ლატალი უკან იხევს და თავის მოვალეობას ჩინებულად ასრულებს. იგი ბუნდესლიგის „შალკე 04“-ში გამოდის.

მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს 22 წლის ბერგერზე, რომელმაც ამ სეზონში თავი გამოიჩინა დორტმუნდის „ბორუსიაში“, ეს კი ბერგერის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს. შესანიშნავი ოსტატია ნემეჩეკი (ჟენევის „სერვეტი“). ნემეცი „შალკე 04“-ში გამოდის, ჰაპალი კი ფრანგული „ბრესტისა“ და ლევერკუზენის „ბაიერში“ თამაშის შემდეგ „ტენერიფეში“ აღმოჩნდა. იგი გამოცდილი, შეუპოვარი ფეხბურთელია, თუმცა, ამას წინათ დაშვდა ამ საუკეთესო ხუთეულთან ერთად უგრინს სხვა ოსტატებიც ჰყავს, მაგალითად, 31 წლის მიხალ ბილეკი (ქივკოვის „ვიქტორია“), რომელიც უწინ პრაღის „სპარტისა“ და ეროვნული ნაკრების ნამდვილი ბურჯი იყო.

უფრო ბუნდოვანი მდგომარეობაა თავდასხმაში. აქ კარგა ხანს შეუცვლელად ითვლებოდა ტომაშ სკუჰრავი, რომელმაც თავი გამოიჩინა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში. მერე კი მთელი 5 წლის მანძილზე იტალიის „ჯენოვაში“ თამაშობდა. სამშობლოში მას „ბომბერს“ („ყუმბარმშენს“) უწოდებდნენ. მას შემდეგ, რაც „ჯენოვას“ უმაღლესი ლიგის დატოვება მოუხდა, სკუჰრავი გადავიდა პორტუგალიაში, ლისაბონის „სპორტინგში“, აქ კი გზები აერია, გართობასა და ალკოჰოლს მიჰყო ხელი, ყველაფერი ეს ავტოკატასტროფით დამთავრდა, სკუჰრავი გადარჩა მაგრამ ნაკრებში აღარ შეიყვანეს. ახლა თავდასხმაში მთავარ იმედებს პაველ კუკასა და რადეკ დრულაკზე ამყარებენ. კუკა („კაიზერსლაუტერნი“) ჩინებული სნაიპერია, რაც ბუნდესლიგაში არაერთხელ დაამტკიცა. დრულაკი უკვე 34 წლისაა; მაგრამ ჯერჯერობით მაღალ საბრძოლო მზადყოფნას ინარჩუნებს. შარშან იგი ჩეხეთის №1 ფეხბურთელად აღიარეს.

ნემეჩეკი

საყურადღებოა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩეხეთის ნაკრებმა 19 მატჩი გამართა (10 ოფიციალური და 9 არაოფიციალური), მათგან კი წააგო მხოლოდ ორი.

ჩემპიონატი ტელეეკრანებზე

ევროპის ჩემპიონატის მატჩები ჩვენთვის გადმოიცემა ორი არხით — ორტ-თი (1 არხი) და რტრ-თი (2 არხი). პირველი არხით თითქმის ყველა რეპორტაჟი ჩაწერილი იქნება. აი, მეორე არხი კი თამაშებს პირდაპირ გადმოსცემს. თანაც ზოგი მატჩი პირველი არხით არასრულად იქნება ტრანსლირებული (მხოლოდ მეორე ტაიმები). ეს შეხვედრებია: ბულგარეთი — რუმინეთი (13 ივნისი), პორტუგალია — თურქეთი (14 ივნისი) და ხორვატია — დანია (16 ივნისი).

				არხი	დრო
13.06.	შვეიცარია	—	ჰოლანდია	2	22.25
	ბულგარეთი	—	რუმინეთი	1	0.25
14.06.	ჩეხეთი	—	იტალია	2	22.25
	პორტუგალია	—	თურქეთი	1	1.20
15.06.	შოტლანდია	—	ინგლისი	2	17.55
	საფრანგეთი	—	ესპანეთი	1	23.10
16.06.	რუსეთი	—	გერმანია	2	17.55
	ხორვატია	—	დანია	1	21.55
18.06.	საფრანგეთი	—	ბულგარეთი	1	21.40
	ჰოლანდია	—	ინგლისი	2	22.25
	შოტლანდია	—	შვეიცარია	1	0.20
19.06.	რუმინეთი	—	ესპანეთი	2.	11.35
	ხორვატია	—	პორტუგალია	1	21.40
	რუსეთი	—	ჩეხეთი	1	22.20
	იტალია	—	გერმანია	2	0.40
20.06	თურქეთი	—	დანია	2	11.35
22.06	მეოთხედფინალი		————	2	17.55
	მეოთხედფინალი		————	1	23.00
23.06.	მეოთხედფინალი		————	2	17.55
	მეოთხედფინალი		————	1	21.30
26.06	ნახევარფინალი		————	1	18.50
	ნახევარფინალი		————	2	22.25
30.06	ფინალი		————	2	21.55

უცხოეთის ფეხბურთი

- **სამხრეთ** კორეის ფეხბურთის ფედერაციამ მოუწოდა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას თანამშრომლობის და ერთობლივი ძალებით 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესახებ.
- **საბერძნეთის** ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით ამ ქვეყნის კლუბები არ მიიღებენ მონაწილეობას ინტერტოტოს თასის გათამაშებაში. უარის მიზეზებს ბერძნები არ ასახელებენ.
- **სან-პაულუს** შტატის ჩემპიონი ვადამდე გახდა „პალმეირასი“, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო „სანტოსს“ — 2-0.
- **მსოფლიო** ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ულიმღამო თამაშის შემდეგ (ვენესუელელებთან) თავისი პოსტიდან გადადგა ჩილის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ქსავიერ ასკარგორტა.
- **6 მილიონი** მარკა გადაიხადა გერმანიის ჩემპიონმა „ბორუსიამ“ (დორტმუნდი), რათა შეეძინა „ჰანზას“ და ქვეყნის ნაკრების მცველი რენე შნაიდერი.
- **24 წლის** პორტუგალიელმა ნახევარმცველმა რუი კოშტამ მხოლოდ ორი წელი გაძლო „ფიორენტინაში“ ახლა იგი ბრუნდება მშობლიურ „ბენფიკაში“

მცირე განმარტება ანუ რა მოხდება თუ...

ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, დებულების თანახმად, გადის ორ-ორი საუკეთესო გუნდი წინასწარი ჯგუფებიდან. რა მოხდება, თუ მეორე ადგილს ჯგუფში ერთნაირი ქულებით დაიკავებს ორი ან მეტი გუნდი? ასეთ შემთხვევაში უძლიერესის გამოსავლენად უეფამ შემოიღო რვა კრიტერიუმი:

1. ამ გუნდებს შორის მატჩებში დაგროვილი ქულების რაოდენობა.
2. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა ამ მატჩებში.
3. ამ მატჩებში მეტოქეების მიერ გატანილი გოლების რაოდენობა.
4. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა ჯგუფური ტურნირის ყველა მატჩში.
5. ჯგუფურ ტურნირში მეტოქეების მიერ გატანილი გოლების რაოდენობა.
6. სპეციალური კოეფიციენტი, რომელიც მხედველობაში მიიღებს ნაკრები გუნდის გამოსვლას 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე და ევრო-96-ის საკვალიფიკაციო ტურნირში.
7. „ფეირ-პლეის“ კოეფიციენტი.
8. კენჭისყრა.

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ • C ᲯᲒᲣᲤᲘ

3.ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

- ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ – 1898 ᲬᲔᲚᲡ.
- ᲤᲘᲤᲐᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ 1905 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ. ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲤᲝᲠᲛᲐ: ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲔᲑᲘ – ᲚᲣᲠᲯᲘ, ᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘ – ᲗᲔᲗᲠᲘ, ᲒᲔᲢᲠᲔᲑᲘ – ᲚᲣᲠᲯᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲘᲗ.
- ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ 1910 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐᲜ – 6-2.
- ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ 1964 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ.

1964 ᲬᲔᲚᲘ 1/16 ფინალი: თურქეთთან — 6-0, 1-0.

1/8 ფინალი: სსრკ-სთან — 1-1, 0-2.

1968 Წ. შესარჩევი ციკლი: კვიპროსთან — 2-0, 5-0. რუმინეთთან — 3-1, 1-0. შვეიცარიასთან — 2-2, 4-0.

1/4 ფინალი: ბულგარეთთან — 2-3, 2-0.

1/2 ფინალი: სსრკ-სთან — 0-0 კენჭისყრით — იტალია.

ფინალი: იუგოსლავიასთან — 1-1 (დომენგინი). დამატებითი მატჩი — 2-0 (რივა, ანასტაზი); — ძოფი, ბურენიჩი, ფაკეტი, როსატო, გუარნერი, სალვატორე, დომენგინი, მაცოლა, ანასტასი, რივა, დე სისტი.

1972 Წ. შ. ც.: ავსტრიასთან — 2-1, 2-2. ირლანდიასთან — 3-0, 2-1. შვედეთთან — 3-0, 0-0. 1/4 ფინალი: ბელგიასთან — 1-2, 0-0.

1976 Წ. შ.ც.: ჰოლანდიასთან — 1-3, 1-0. პოლონეთთან — 0-0, 0-0. ფინეთთან — 1-0, 0-0. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1980 Წ. ტურნირის მასპინძელი. ფინალური ციკლი: ესპანეთთან — 0-0, ინგლისთან — 1-0, ბელგიასთან — 0-0. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

მესამე ადგილისათვის ჩეხოსლოვაკიასთან — 1-1, პენალტებით — 8-9.

1984 Წ. შ.ც.: ჩეხოსლოვაკიასთან — 2-2, 0-2, რუმინეთთან — 0-0, 0-1. კვიპროსთან — 1-1, 3-1, შვედეთთან — 2-0, 3-0. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1988 Წ. შ.ც.: შვედეთთან — 0-1, 2-1. პორტუგალიასთან — 1-0, 3-0. შვეიცარიასთან, — 3-2, 0-0. მალტასთან — 2-0, 5-0.

ფ.ც.: გფრ-სთან 1-1, ესპანეთთან — 1-0, დანიასთან — 2-0.

1/2 ფინალი: სსრკ-სთან — 0-2.

1992 Წ. შ.ც.: სსრკ-სთან — 0-0, 0-0. ნორვეგიასთან — 2-1, 1-1. უნგრეთთან — 1-1, 3-1. კვიპროსთან — 4-0, 2-0. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1996 Წ. შ.ც.: სლოვენიასთან — 1-1 (კოსტაკურტა), 1-0 (რავანელი). ესტონეთთან — 2-0 (პანუჩი, კაზირაგი), 4-1 (ძოლა — 2, ალბერტინი, რავანელი). ხორვატიასთან 1-2 (დ.ბაჯო), 1-1 (ალბერტინი). უკრაინასთან — 2-0 (ლომბარდო, ძოლა), 3-1 (რავანელი — 2, მალდინი). ლიტვასთან — 1-0 (ძოლა), 4-0 (ძოლა — 3. დელ პიერო). ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

სულ შესარჩევ და ფინალურ ტურნირში ჩაატარა 71 მატჩი: მოიგო — 38, ფრედ დაამთავრა 24, წააგო 9 შეხვედრა. ბურთების შეფარდება — 114-43.

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა არიგო საკიმ გუნდის განაცხადში შეიყვანა შემდეგი ფეხბურთელები:

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ: ანჯელო პერუცი — 1970 წ. 16 თებერვალი. „იუვენტუსი“ ტურინი. 6. ფრანჩესკო ტოლდო — 1971 წ. 2 აგვისტო. „ფიორენტინა“ 2. ლუკა ბუჩი — 1969 წ. 13 მარტი. „პარმა“ 3.

ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ: რობერტი მუსი — 1963 წ. 25 აგვისტო. „პარმა“ 8. ლუიჯი აპოლონი — 1967 წ. 2 მაისი. „პარმა“ 10. მორენო ტორიჩელი — 1970 წ. 23 იანვარი. „იუვენტუსი“, 1. ჩირო ფერარა — 1967 წ. 11 თებერვალი. „იუვენტუსი“, 30. ალესანდრო კოსტაკურტა — 1966წ. 24 აპრილი. „მილანი“, 35 (1). პაოლო მალდინი — 1968 წ. 26 . ივნისი. „მილანი“, 68 (3). ამედეო კარბონი — 1965 წ. 6 აპრილი. „რომა“, 9.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ანჯელო დი ლივიო — 1966 წ. 26 ივლისი. „იუვენტუსი“, 3. ანტონიო კონტე — 1969 წ. 31 ივლისი. „იუვენტუსი“, 6. ალესანდრო დელ პიერო — 1974 წ. 9 ნოემბერი. „იუვენტუსი“, 8 (1). დიეგო ფუზერი — „ლაციო“ რომი. რობერტო დი მატეო — 1970 წ. 29 მაისი. „ლაციო“ 11. დემეტრიო ალბერტინი — 1971 წ. „მილანი“. რობერტო დონადონი — 1963 წ. 9 სექტემბერი. „მილანი“ — „ნიუ-იორკ - ნიუ-ჯერსი მეტროსტარზი“ აშშ, 39 (7). დინო ბაჯო — 1971 წ. 24 ივლისი. „პარმა“ 29 (7).

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ — ფაბრიციო რავანელი — 1968 წ. 11 დეკემბერი. „იუვენტუსი“, 7 (5). ჯანფრანკო ძოლა — 1966 წ. 5 ივლისი. „პარმა“, 19 (6). ენრიკო კიეზა — 1960' წ. 29 დეკემბერი. „სამპდორია“, 1. პიერლუიჯი კაზირაგი — 1969 წ. 4 მარტი. „ლაციო“, 29 (7).

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲐᲠᲘᲒᲝ ᲡᲐᲙᲘ ისეთი მწვრთნელია, რომ სპორტული თვალსაზრისით საერთოდ ვერაფერს შეედავები. „მილანი“ მისი ხელმძღვანელობით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო (თუ ყველაზე უკეთესი არა!) კლუბი გახდა, ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 1994 წლის პირველობაზე მეორე ადგილზე გავიდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში კი დიდი დაძაბულობის გარეშე მოიპოვა ფინალის საგზური.

სხვა რაღაა საჭირო? მაგრამ იტალიელ „ტიფოზს“ თუ სურს, ჩხუბისა და კამათის მიზეზს მუდამ იპოვის. აძელიო ვიჩინის მესამე ადგილი მსოფლიო პირველობაზე 1990 წელს (საკუთარ მინდორზე!) დიდ წარმატებად ჩაუთვალეს, საკის მეორე ადგილი კი მაინცდამაინც არ მოსვლიათ თვალში. ახლა ლაპარაკი იმაზეა, რატომ უნდა მოუგოთ ხორვატებს პალერმოში, რატომ უნდა ეჩვენებინათ „სკუადრა აძურაზე“ უკეთესი შედეგი.

ტიფოზის გულის მოგება ზოგი მწვრთნელისათვის მართლაც ძნელი საქმეა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, არიგო საკი მაინცდამაინც არც ცდილობს ამის გაკეთებას. მას თავისი პროგრამა აქვს, ცდილობს მის შესრულებას და თანაც აცხადებს, რომ სხვა სპეციალისტების აზრი ნაკლებად აინტერესებს“. ერთი სიტყვით, მის პოლიტიკას „კეისარი, ან არაფერი ქვია“.

კარგა ხნით ადრე ცნობილი იყო, რომ საკი ნაკრებში არ შეიყვანდა „იუვენტუსის“ კაპიტანს ჯანლუკა ვიალის, რომელიც მისი მუშაობის მეთოდებს „სულელურს“ უწოდებს. ამასთან, ისიც ვთქვათ, რომ ლონდონის ავტორიტეტული „უორლდ სოკერის“ გამოკითხვით, ვიალი მსოფლიოს №1 ფეხბურთელად იქნა აღიარებული. საკის „სათამაშო სქემას“ არ მოერგნენ არც განთქმული რობერტო ბაჯო, არც ცნობილი სნაიპერი ტოტო სინიორი.

საკის ახლანდელი ნაკრები ძირითადად გამოცდილი ოსტატებისაგან შედგება, რომლებმაც 30 წელს გადააბიჯეს. ამავე დროს მწვრთნელი თვლის, რომ მოხდა მათი შერწყმა ახალგაზრდებთან, ასეთ გუნდს კი უდავოდ ძალუძს ინგლისში წარმატებით გამოსვლა. მეკარე პერუციმ (1970), რომელსაც სხვებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება, გამოიჩინა თავი „აიაქსთან“ ფინალურ მატჩში, სადაც მან ორი 11-მეტრიანი მოიგერია. დაცვაში სულ ახლახან გამოჩნდა პირველხარისხოვანი ლიბერო ტორიჩელი (1970), რომელზეც ეს მკაცრი [illegible] ანი“ საკი პირდაპირ შეყვარებულია, [illegible] ძლიერი მაინც შუა ხაზია, სადაც ახალი სახელებიდან ყურადღებას იპყრობს დელ პიერო (1974), დიდი ტალანტი, რომელთანაც „იუვენტუსში“ კონკურენციას თვით რ. ბაჯომაც ვერ გაუძლო და „მილანში“ გადავიდა. ამავე ხაზზე არიან შედარებით ახალგაზრდა ფეხბურთელები — ალბერტინი (1971) და შეუპოვარი დ. ბაჯო (1971), მრავალნაცადი დონადონი (1963), რომელიც ეს-ეს არის გადავიდა ნიუ-იორკ-ნიუ-ჯერსის „მეტროსტარზში“. თავდასხმაში საკი კარგა ხანია უპირატესობას ანიჭებდა რავანელის (1968), კაზირაგისა (1969) და ძოლას (1966). მათ უკანასკნელ მომენტში დაემატა კიეზა, რომელმაც იტალიის ჩემპიონატში 22 გოლი გაიტანა.

მძიმე და მომქანცველი ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებმა საწვრთნელი მზადება 18 მაისს დაიწყო „მილანის“ ბაზაზე, მილანელოში. შემდეგ მან ჩაატარა ორი საკონტროლო მატჩი. ჯერ კრემონაში 29 მაისს მიიღო ბელგიელები. პირველ ტაიმში სტუმრებმა ორი ბურთი გაიტანეს, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა — 2-2. მეორე შეხვედრა იტალიელებმა სტუმრად ჩაატარეს 1 ივნისს უნგრეთის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2-0. ერთი სიტყვით, მწვრთნელმა ჩათვალა, რომ „სკუადრა აძურა“ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ევროპის ჩემპიონატს.

რა თქმა უნდა, ზოგ ფეხბურთელს მცირე ტრავმაც ჰქონდა, მაგრამ გუნდის ექიმმა ვინჩენცო პინკოლინიმ ოპტიმისტური დასკვნები გააკეთა: „ტესტებმა გვიჩვენეს, რომ მთელი გუნდი ახლა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ორი წლის წინ აშშ-ში მსოფლიო ჩემპიონატის დროს“. ექიმმა ამ მხრივ განსაკუთრებით გამოჰყო ალბერტინი, ფუზერი, კიეზა და ძოლა.

მზადება მზადებად, მაგრამ იტალიის ფეხბურთის მესვეურები არც ფეხბურთელების წახალისებას ივიწყებენ. აი, რა განუცხადა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ კორესპონდენტებს: „თუ იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდება, თითოეული მოთამაშე ჯილდოდ მიიღებს 300 მილიონ ლირას (194 000 დოლარს), თუკი მეორე ადგილზე გავლენ, მაშინ მიიღებენ 200 მილიონ ლირას (129 000 დოლარს). შედარებისათვის — როცა ორი წლის წინ იტალიელებმა მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს, თითოეულმა მიიღო 350 მილიონი ლირა (225 000 დოლარი.)

ამავე დროს პრეზიდენტმა დასძინა, რომ ყველა დანარჩენი ადგილის დაკავებისთვის მოთამაშეები საერთოდ არაფერს მიიღებენო.

— იტალია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია, ისე, რომ ყველა ადგილი, გარდა პირველისა ან მეორისა მარცხად ჩაითვლება. ევროპის ჩემპიონობის მოპოვება კი ისეთივე მიღწევა იქნება, როგორც წარმატება მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში.

ᲛᲐᲚᲓᲘᲜᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲗᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲧᲠᲛᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ – ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“

აი, აქ კი გულშემატკივრებს კვლავ ჩაგვესახა იმედი, მით უმეტეს, რომ ორი მომდევნო თამაში „სპარტაკს“ თავის მინდორზე უწევდა არც თუ ძალიან ძლიერ გუნდებთან — ლენინგრადის „ზენიტთან“ და „დინამოსთან“.

კიდევ ორი გამარჯვება და გუნდი სატურნირო ცხრილის შუაში აღმოჩნდებოდა. დაიმედებულები მივდიოდით „ზენიტთან“ თამაშზე (30 ივლისი). მაგრამ ყველაზე მტკივნეული დარტყმა სწორედ ამ და მომდევნო მატჩში მივიღეთ. უიღბლობა გამრავლებული უსინდისო მსაჯობაზე — ასე შეიძლება განვსაზღვროთ ამ მატჩების შინაარსი.

განსაკუთრებით ეს შეეხებოდა „ზენიტთან“ შეხვედრას. ტალინელმა მსაჯმა კალევისტემ პირდაპირ გასაქანი არ მისცა ჩვენს თავდამსხმელებს, წამდაუწუმ უსტვენდა — მუდამ ჩვენს წინააღმდეგ. ამავე დროს, გულგრილად რეაგირებდა ლენინგრადელთა უაღრესად უხეშ, ძალისმიერ თამაშზე და იმის მაგივრად, რომ მოედნიდან გაეძევებინა უხეშობის დამწყებნი, პირიქით, ჩვენებს აძლევდა შენიშვნებსა და გაფრთხილებებს. თამაში მთლად აირია, წახდა. დავმარცხდით 1-2 (კალოევის გოლი).

„სპარტაკმა“ თამაშის შედეგი გააპროტესტა, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი?

ასეთივე უიღბლო გამოდგა მომდევნო მატჩიც (2 აგვისტოს) — ლენინგრადის „დინამოსთან“. მთელი თამაშის მანძილზე ჩვენები უტევდნენ, მაგრამ ანგარიში საყაიმო იყო 2-2 (კალოევი, ნორაკიძე). იწურება უკანასკნელი წუთი, ძლიერად დარტყმული ბურთი ხვდება ლენინგრადელთა კარის ძელს, ბრუნდება მოედანზე, გრძელი პასი წინ და მარტოდმარტო დარჩენილ კოლობოვს მესამე ბურთი გააქვს ჩვენს კარში (2-3).

ეს უკვე კატასტროფის ტოლფასი იყო, მით უმეტეს, რომ მომდევნო 2 გასვლით თამაშში გვყავდა ძალზე ძლიერი მოწინააღმდეგეები — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ (12 აგვისტო) და ცსკა (29 აგვისტო). აქ ქულის ალებაც კი ძნელი იყო. დავმარცხდით 0-1 და 0-3.

ამით, ფაქტიურად, წერტილი დაესვა „სპარტაკის“ „ა“ კლასში ყოფნას, მაგრამ წასვლისას გუნდმა, რომ იტყვიან, „გაიჯახუნა კარი“ და კიდევ ერთხელ გააკვირვა ქვეყნის მთელი საფეხბურთო სამყარო მორიგი სენსაციური გამარჯვებით მოსკოვში, ადგილობრივ „სპარტაკთან“ 3-2 (4 სექტემბერი).

საბოლოოდ მოსკოვში ჩატარებულ 6 შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა 7 ქულა დააგროვა (3 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება). შედარებისათვის ვიტყვით, რომ იმ წლის ვერცხლის პრიზიორმა — თბილისის „დინამომ“ ამავე 6 თამაშში მხოლოდ 3 ქულის ალება შეძლო.

ნამდვილად დასანანი იყო ასეთი ნიჭიერი გუნდის წასვლა დიდი საფეხბურთო ასპარეზიდან!

მაგრამ დავუბრუნდეთ მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრას. იგი იმსახურებს იმას, რომ მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

თამაში გაიმართა სტადიონ „სტალინეცზე“ (ამჟამად „ლოკომოტივი“). ამავე საათებში კი „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე მოსკოვის „დინამო“ რომელიღაც გუნდთან ატარებდა შეხვედრას. პირველი თამაშის რეპორტაჟი მიჰყავდა მაშინ ახალგაზრდა ნ. ოზეროვს, მეორე კი გამოცდილ ვ. სინიავსკის როგორც იმ დროს იყო მიღებული, კომენტატორებს შორის იმართებოდა ხოლმე რადიოდიალოგი („პერეკლიჩკა“). პირველი კონტაქტის დროს ნ. ოზეროვმა გვაუწყა, რომ ყველაფერი ნორმალურად მიდის, მოსკოველები იგებენ 2-0 და სწორედ ამ დროს თბილისელებმა გაიტანეს გოლი (დალაქიანი), რომელიც ოზეროვმა შემთხვევას მიაწერა.

მეორე ჩართვა 10 წუთის შემდეგ მოხდა, როდესაც თამაშის დამთავრებას სულ 5 წუთი აკლდა. ტრიბუნებზე ისეთი ხმაური იყო, რომ ოზეროვის ხმა ძლივს ისმოდა “Что у вас происходит, что за шум?“ — იკითხა სინიავსკიმ —„ Да вот, тбилисцы забили гол и продолжают атаковать„ ჩვენ ყურებს არ ვუჯერებდით. „Ну и дела!“ — ჩაიცინა სინიავსკიმ (არავისთვის არ იყო საიდუმლო, რომ ვ. სინიავსკი მოსკოვის „დინამოს“ გულშემატკივრობდა, ნ. ოზეროვი — „სპარტაკს“).

1 წუთის შემდეგ კი მოსკოველთა კარში გატანილ იქნა გოლი, რომელიც მოსკოვურ გაზეთებში არ იყო აღწერილი (ოზეროვს აღწერებისათვის აღარ სცხელოდა). მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ დაბალ ბურთს ვარდნაში თავით მისწვდა ნორაკიძე, რომლის გოლმაც გამარჯვება მოუტანა თბილისელებს.

ეს იყო იმ საფეხბურთო სეზონის ერთ-ერთი დიდი სენსაცია.

ამ გამარჯვების მიუხედავად გუნდის ბედი გადაწყვეტილი იყო და დარჩენილ 2 თამაშს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. „შახტიორის“ ძლიერ გუნდს „სპარტაკმა“ ნამდვილი ბრძოლა გაუმართა (14 სექტემბერი) და ანგარიშიც მიჰყავდა — 1-0 (ნორაკიძე), მაგრამ დაცვაში დაშვებულმა ორმა მიუტევებელმა შეცდომამ გადაწყვიტა თამაშის ბედი (1-2).

კიევის „დინამოსთან“ შეხვედრაზე კი (18 სექტემბერი) გუნდი ბედს შერიგებული გამოვიდა. შედეგიც შესაბამისი იყო — 0-3.

„სპარტაკმა“ 16 ქულით ბოლოსწინა მე-14 ადგილი დაიკავა, 2 ქულით გაუსწრო გორკის „ტორპედოს“ და 7-ით ჩამორჩა ვმს-ს.

სამივე ეს გუნდი გავარდა „ა“ კლასიდან. თანაც „სპარტაკი“ და ვმს-ი

ᲘᲮ. ᲛᲔ-6 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲚᲔᲚᲝ“ № 19,22,24,26,28

რა ხდება ქვეყანაზე

● **ვაისად** ივნისში ლიტვის ექვსი ქალაქი უმასპინძლებს ბალტიის ქვეყნების მეორე სპორტულ თამაშებს. შეჯიბრებაში, რომლის პროგრამა 22 სახეობას მოიცავს, იასპარეზებენ დანიის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, ნორვეგიის, რუსეთის, ფინეთის, შვეციისა და გერმანიის წარმომადგენლები.

● **ნჰლ-ს** დირექტორატმა გამოაქვეყნა ცნობა ჰოკეისტთა წლიური შემოსავლის შესახებ გასულ სეზონში. რეკორდი ეკუთვნის „სენტ-ლუის ბლუზის" ფორვარდს უეინ გრეცკის, რომლის ხელფასი 95-96 წლების სეზონში 6.545.400 დოლარს შეადგენდა. მომდევნო ორ ადგილზე არიან: მარკ მესიე („ნიუ-იორკ რეინჯერსი") და კეიტ ტკაჩუკი („ვინიპეგ ჯეტსი"). მათი წლიური ხელფასი 6 მილიონი დოლარი იყო. რუსი ლეგიონერებიდან ყველაზე მდიდარ ჰოკეისტებად შეიძლება მივიჩნიოთ პაველ ბურე („ვანკუვერი", 4.500.000 დოლარი) და სერგეი ფეოდოროვი („დეტროიტი", 4.162.000).

● **გაიმართა** ფრენბურთელ ვაჟთა ოლიმპიური ტურნირის კენჭისყრა. „ა" ჯგუფი: აშშ, ბრაზილია, კუბა, ბულგარეთი, არგენტინა, პოლონეთი. „ბ" ჯგუფი: იტალია, ჰოლანდია, რუსეთი, კორეა, იუგოსლავია, ტუნისი.

● **„ტურ დე ფრანსის"** სამგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა გრეგ ლემონდმა, რომელმაც ორი წლის წინ დაანება თავი სპორტს, თავისი „საბრძოლო" ველოსიპედი გამოიტანა საქველმოქმედო აუქციონზე. ამავე აუქციონზე გაიყიდა სხვა სუპერვარსკვლავების ველოსიპედებიც (კალათბურთელ პატრიკ იუინგის, ბეისბოლისტის ჯორჯ სტრაინბრენერის და ა.შ.).

● **„დოფინეს კრიტერიუმში"** მოასპარეზე მიგელ ინდურაინი მაინცდამაინც არ იკლავს თავს შედეგისათვის. იგი ძალებს იკრებავს „ტურ დე ფრანსისათვის", რომლის მოგებასაც აპირებს წლეულს მეექვსედ (!). ესპანელი ველოსიპედისტის განცხადებით მისი მთავარი მეტოქე წლეულს ფრანგი ლორან ჟალაბერი იქნება, რომელიც უკვე კარგა ხანია ლიდერობს მსოფლიო კლასიფიკაციას.

● **ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ოლიმპიური ტურნირის მონაწილეთა სია (შეჯიბრება მოეწყობა 23 ივლისს — 3 აგვისტოს). ვაჟთა ერთეულების ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს 35 ქვეყანა, ქალთა ერთეულებისა და წყვილების ტურნირში კი 32.

რა ხდება ქვეყანაზე

ჭადრაკი ● მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ანატოლი კარპოვი — გატა კამსკი

ელისტაში დაიწყო მატჩი მსოფლიო პირველობაზე ამ წოდების მფლობელ ანატოლი კარპოვსა (რუსეთი) და პრეტენდენტ გატა კამსკის (აშშ) შორის.

კარპოვის სეკუნდანტები არიან დიდოსტატები ვლადიმირ ეპიშინი (პეტერბურგი), საერთაშორისო ოსტატი ოდესიდან მიხაილ პოდგაეცი (უკრაინა), აგრეთვე ამერიკელი დიდოსტატი რონ ჰენლი. პრეტენდენტის „შტაბში" შედიან დიდოსტატები პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია და ჰერცოგოვინა), რომელიც მუდმივად ჰოლანდიაში ცხოვრობს, ჯონ ფედოროვიჩი (აშშ) და ლიუკ ვან ველი (ჰოლანდია).

პირველად ელისტაში ჩავიდა პრეტენდენტი, რომელიც ელისტაში ესპანეთიდან თვით პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა საკუთარი თვითმფრინავით ჩამოიყვანა. მას ძალიან საზეიმოდ დახვდნენ, საჩუქრები მიართვეს, მათ შორის ხადაკი — თეთრი ყელსახვევი, რომელსაც ყალმუხები განსაკუთრებით საპატიო სტუმრებს უძღვნიან ხოლმე.

მეორე დღეს კარპოვთან ერთად ელისტაში ჩავიდნენ საპატიო სტუმრებიც — ფიდეს ყოფილი პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი (ფილიპინები) და მსოფლიოს ექსჩემპიონი ვასილი სმისლოვი.

ბულგარეთის კორპორაცია „ტრაინვესტ ტრეიდინგის" წარმომადგენლებმა ალექსანდრ სავოვმა მატჩის ორგანიზატორებს გადასცა 50 მილიონი რუსული რუბლი, და სურვილი გამოთქვა, რომ ამ თანხას ისინი შეჯიბრებაში გამოიყენებენ. „ეს, ასე ვთქვათ, დახმარება კი არ გახლავთ, არამედ კეთილი ნების ჟესტი, და ჩვენი ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის სიმბოლო" — განაცხადა ბულგარელმა მეწარმემ.

რაც შეეხება თვით მატჩს, იგი მეტად მძაფრად დაიწყო. პირველ პარტიაში, რომელიც კარპოვმა ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო, მან თანდათან უპირატესობას მიაღწია და გაიმარჯვა კიდეც. მეორე პარტიაში კაროკანის დაცვა გათამაშდა. კამსკიმ კარგად წარმართა ეს შეხვედრა და შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მესამე პარტია (ახალინდური დაცვა) თეთრებით მოთამაშე ჩემპიონის უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ კამსკიმ შეძლო მდგომარეობის გათანაბრება და მიაღწია ყაიმს.

სამი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარია — 1,5:1,5. 11 ივნისს მეტოქეები ისვენებდნენ. მეოთხე პარტიაში კი, კამსკი თეთრებით ითამაშებს.

ჩვენი სიყრმის საყვარელი გუნდი – თბილისის „სპარტაკი"

(მეხუთე გვერდიდან)

საზოგადოდ გაქრნენ „საფეხბურთო რუკიდან". მაგრამ თუ ვმს-ის გაუქმება სამხედრო უწყების გუნდების გაერთიანების საფუძველზე მოხდა, მიზეზი „სპარტაკის" დაშლისა, რაც ადგილობრივი სპორტული ინსტანციების გადაწყვეტილებით აღსრულდა, დღემდე ამოუცნობია.

ვის უშლიდა ეს თვითმყოფი ახალგაზრდული კოლექტივი, რომელსაც უდავოდ გააჩნდა სათანადო რესურსები და პოტენციური რეზერვები იმისათვის, რომ ერთი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნებულიყო უმაღლეს ლიგაში? განა ამის შესახებ არ მეტყველებდა ბრწყინვალე გამარჯვებები საბჭოთა კავშირის უძლიერეს გუნდებთან — მოსკოვის „დინამოსთან", „სპარტაკთან", „ტორპედოსთან", ვვს-თან და სხვებთან?

1951 წლის ჩემპიონატში „სპარტაკის" გამოსვლების მთავარი საფეხბურთო სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურებოდა. I წრე — 2 მოგება, 1 ფრე, 11 დამარცხება, ბურთების შეფარდება — 11-33, 5 ქულა; II წრე შესაბამისად 5-1-8; 21-23,11; საბოლოო შედეგი კი: 7 მოგება, 2 ფრე, 19 დამარცხება, ბურთების შეფარდება — 32-56, 16 ქულა, მე-14 ადგილი.

32 გატანილი ბურთი შემდეგნაირად განაწილდა: ზ. კალოევი — 11, ა. ნორაკიძე —8, ნ. სიხარულიძე —5, ე. დალაქიანი — 3, მ. გამყრელიძე-2, ა. ბერძენიშვილი — 1, ი. კახაძე —1, ბასილაშვილი — 1.

გაზეთ „ლელოში" (1951 წ. 5 ოქტომბერი, 142) ასე იყო შეფასებული ჩემპიონატში „სპარტაკის" მონაწილეობის შედეგები: „გუნდმა მთელი რიგი თამაშები მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ იმის გამო, რომ კოლექტივში ცუდად იყო დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მოიკოჭლებდა დისციპლინა და ფიზიკური მომზადების დონე დაბალი იყო, გუნდმა ვერ გამოამჟღავნა ის ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემები, რომლებიც მას უეჭველად აქვს".

თუ გამოვრიცხავთ იმ დროს მიღებულ აბსურდულ შტამპს „პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის" შესახებ, უნდა ვაღიაროთ, რომ, არსებითად, სწორი შეფასებაა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა იყო პირველი და უმთავრესი მიზეზი „სპარტაკის" ბედუკუღმართობისა.

მეორე წერილში დამატებით იყო მითითება „ემელკოვის უპასუხისმგებლო მოქმედებაზე".

ასე დამთავრდა „სპარტაკის" მონაწილეობა 1951 წლის პირველობაში, რომელიც აღსავსე იყო სასოწარკვეთილებისა და, უფრო იშვიათად, სასიხარულო აღფრთოვანების წუთებით.

როგორი აღმოჩნდა დაშლილი „სპარტაკის" 1951 წ. შემადგენლობის მოთამაშეთა შემდგომი ბედი?

მათგან დიდ ფეხბურთში მხოლოდ ზაურ კალოევმა დაიმკვიდრა ადგილი. წლების მანძილზე ღირსეულად გამოდიოდა ჩვენი „დინამოს" შემადგენლობაში ალიოშა კოტრიკაძე, რამდენიმე წელი — ნ. გოგლიძე, ა. ნორაკიძე, ე. დალაქიანი და ნ. სიხარულიძე გადავიდნენ თბილისის ოფიცერთა სახლის („ტოდო") გუნდში, რომელიც „სპარტაკის" ღირსეულ მემკვიდრედ მოგვევლინა მომდევნო ათწლეულში და „უზენაესი" გადაწყვეტილებით სწორედ მაშინ გააუქმეს (1960), როდესაც მან „ა" კლასში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

დანარჩენი ფეხბურთელები გაითქვიფნენ რესპუბლიკის მეორეხარისხოვან გუნდებში. ზოგიც — საერთოდ წავიდა ფეხბურთიდან. „იყო გუნდი, და აღარ არის გუნდი".

ასეთია თბილისის „სპარტაკის" მოკლე, მაგრამ ძალზე შინაარსიანი და ამაღელვებელი ისტორია, გუნდისა, რომელმაც დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დაუტოვა ყველას, ვინც მას გულშემატკივრობდა თითქმის ნახევარი საუკუნის წინ (მათი რიცხვი კი, სამწუხაროდ, სულ უფრო კლებულობს). იგი არასოდეს უნდა მიეცეს დავიწყებას.

მადლობა შესანიშნავ გუნდს, მის წევრებს, მადლობა გაზეთ „ლელოს" რედაქციასაც, რომელმაც ადგილი დაგვითმო თავის ფურცლებზე ამ ნოსტალგიური, მადლიერების გრძნობის გამომხატველი სტრიქონების გამოსაქვეყნებლად.

გულბათ ტორაძე
პროფესორი.

ელგუჯა თვალჭრელიძე

67 წლისა გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ელგუჯა თვალჭრელიძე, რომელმაც მთელი ცხოვრება სპორტს დაუკავშირა.

ბავშვობის წლებში ეზიარა კლასიკურ ჭიდაობას. ბევრჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი. წარმატებით გამოდიოდა საკავშირო შეჯიბრებებში, „პიშჩევიკის" და პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატებში მოპოვებული ჰქონდა სხვადასხვა ხარისხის მედლები.

აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ მწვრთნელობა დაიწყო — 30-ზე მეტი სპორტის ოსტატი აღზარდა. 1970-წლიდან სათავეში ჩაუდგა „განთიადის" ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვების სპორტულ სკოლას, რომლის დირექტორადაც 1990-წლამდე მუშაობდა, ამ ხნის განმავლობაში სკოლამ მრავალი გამოჩენილი მოჭიდავე აღუზარდა რესპუბლიკას.

1990 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ჩოგბურთის სტადიონის დირექტორად მუშაობდა.

კეთილი, გულღია და ხალისიანი, სპორტზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანი — ასე იცნობდა მას ყველა, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია.

ე. თვალჭრელიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, ნაცნობ-მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილების გულებში

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ჭიდაობის ფედერაცია.

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობაში, ფალავანთა ახალგაზრდა თაობების ერთ-ერთი ნიჭიერი აღმზრდელი

ელგუჯა თვალჭრელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს ნინო გოგუაძეს დედის

ნათელა ჩიქოვანი-გოგუაძის

გარდაცვალების გამო

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს სეოკის თანამშრომელს ნინო გოგუაძეს დედის გარდაცვალების გამო



კროსვორდი

თარაზულად: 2. ქართველი ოლიმპიელი ქალი, 4. რუსეთის საფეხბურთო კომენტატორი, 5. საჭიდაო საფენი, 6. გუნდის თავი, 7. წინსვლა, აღმავლობა, 11. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი, 13. ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გოლეადორი, 15. ინგლისის ცნობილი საფეხბურთო გუნდი, 16. ჯილდო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, 17. ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი, 20. სპორტული ფეხსაცმელი, 22. თიხის ჰურჰელი, ძველ საბერძნეთში ათლეტების გამოსახულებით, 25. ტანვარჯიშული იარაღი, 28. ცნობილი საჭადრაკო ქალაქი ყალმუხეთში, 29. იტალიის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 30. ფეხბურთში ცრუ მოძრაობა, 31. დამწყები სპორტსმენი, 32. ცხენთა საასპარეზო.

შვეულად: 1. საბუთი, რითაც ფიქსირდება სპორტული შედეგი, მიღწევა, 2. მოქნილი, მკვირცხლი, მარდი... 3. სანიჩბოსნო სადგურის ნაგებობა, 6. საფეხბურთო და სხვ. მატჩებზე ერთ-ერთი შემფასებელი, 8. მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტა, 9. მიმანიშნებელი წარწერა შენობებზე და სხვ. 10. ევროპის საფეხბურთო ასოციაცია, 12. ვისაც ღირსშესანიშნავ თარიღს აღუნიშნავენ, 13. შესატყვისობა, მსგავსება, 14. ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 18. ძალოსნობაში ვარჯიში — პროგრამა, 19. ცნობილი მოჭადრაკე, 20. ზაფხულის ოლიმპიადის დედაქალაქი, 21. პრაღის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 23. ფეხბურთელის ამპლუა, 24. ავტომობილების საშეჯიბრო გამოცდის სპეციალური მოედანი, 26. ჭადრაკის ქალმერთი, 27. ორთაბრძოლა, კრივის და სხვადასხვა სახის ჭიდაობის ილეთებით.

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ბეკერი, 6. ანკესი, 10. ტაიმი, 11. წნორი, 12. სკანერი, 15. ოსტატი, 16. ბილიკი, 17. აფენი, 18. პლაჟი, 21. ჩოხელი, 23. „იბერია", 27. „უტევანი", 29. ედემი, 30. შანსი, 31. ფლანგი, 32. ტრავმა.

შვეულად: 1. გეიმი, 2. ფრანკი, 3. „ინტერი", 4. ფსონი, 7. ტაროსი, 8. ფანდი, 9. ტრიუკი, 13. სტიმული, 14. ჭიდაობა, 19. მოპედი, 20. „აიაქსი", 22. აკვრა, 24. შტანგა, 25. ენდერი, 26. ხმალი, 28. ყაიმი.

საჭადრაკო ამოცანა

რ. მარცვალაშვილი
(სოფ. ჩარტალი)



შამათი 3 სვლაში

იუმორი



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე